ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ვაჟა ხეცურიანი

მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში - შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების ანალიზი: 2016 – 2019 წლები

სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ნანა მაჭარაშვილი,
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში - შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების ანალიზი: 2016 – 2019 წლები

ნებისმიერი სახელმწიფოსა თუ მისი კონკრეტული ინსტიტუციის წარმატება, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე, დამოკიდებულია მმართველი ორგანოებისა და მოსახლეობის ურთიერთობაზე. მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა და მათთვის მეტი უფლებამოსილების მინიჭება ხელს უწყობს დემოკრატიული პროცესების სწრაფ განვითარებას (Patel, 2009).

კვლევის მიზანია, შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში არსებული პრაქტიკის საფუძველზე, დადგინდეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 85-ე მუხლით განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების ეფექტიანობა.

კვლევის ამოცანაა შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის დადგენა; წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლა; სხვადასხვა აქტორის შეხედულებების გამოვლენა მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკის შესახებ. გარდა ამისა, დადგენა იმისა, თუ არნშტეინის „სამოქალაქო მონაწილეობის კიბის“ რომელ ჯგუფსა და საფეხურს შეესაბამება შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში მოქმედი მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები. ამასთანავე, ძირითადი სოციალური, პოლიტიკური და სამართლებრივი ბარიერების იდენტიფიცირება და მოქალაქეთა მონაწილეობის ეფექტიანობის გასაზრდელად საჭირო რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ობიექტია შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობა, არასამთავრობო სექტორი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. გარდა ამისა, კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოში მოქალაქეთა

მონაწილეობის საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობა და სხვადასხვა მეორეული წყარო. კვლევის არეალს წარმოადგენს შიდა ქართლის მხარე.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში მინიმალურია პეტიციის გამოყენება. კერძოდ, ორ მუნიციპალიტეტში ის საერთოდ არ დარეგისტრირებულა, ორგან კი მხოლოდ თითო-თითო წარმატებული მცდელობა დაფიქსირდა. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ოთხივე მუნიციპალიტეტში არსებობს, თუმცა პრობლემას წარმოადგენს მათი ფუნქციონირების ქმედითობა. დასახლების საერთო კრება ოთხიდან სამ მუნიციპალიტეტში გამოიყენება, მაგრამ აღსანიშნავია, რომ უმეტესად ინიციატივა უშუალოდ მერიებიდან მომდინარეობს.

მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ დიდი ნაწილი ვერ ერკვევა მონაწილეობის მექანიზმებში. გორის გარდა, შიდა ქართლის ყველა მუნიციპალიტეტში, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი არასწორად ასახელებს მონაწილეობის ფორმებს.

მოქალაქეთა მონაწილეობის თვალსაზრისით, შიდა ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტებში, ყველაზე ხშირად განიხილება ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებული საკითხები.

მოქალაქეთა მონაწილეობის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი ინფორმაციის ნაკლებობაა, რაც მოსახლეობის ნიჰილისტურ დამოკიდებულებას იწვევს.

Annotation

Citizen Participation in the Implementation Process of Local Self-Government - Analysis of Municipalities of Shida Kartli: 2016-2019 years

Author : V. Khetsuriani

The success of any state or its particular institution at both central and local level depends on the relationship between the governing bodies and the population. Ensuring citizen participation and giving more powers to them promotes rapid development of democratic processes.

The goal of the research is to determine the effectiveness of the forms of citizen participation in the implementation process of local Self-government defined by Organic Law of Georgia "Local Self-Government Code" on the basis of existing practice in Shida Kartli municipalities.

The task of the research is to determine the level of awareness of the population living in Shida Kartli municipalities; to research of relevant documentation of representative and executive bodies; to identify the different actors' opinions about the practice of citizen participation. Also, to show which group and level of Arnstein's "A Ladder of Citizen Participation" corresponds to the forms of citizen participation in Shida Kartli. As well, to determine basic social, political and legal barriers and to create recommendations for increasing the effectiveness of participation.

The objects of the research are the residents of the Shida Kartli municipalities, the non-governmental sector and representatives of the local government. Also, the object of the research is the legislation regulating citizen participation issues and various secondary sources. The area of the research is Shida Kartli region.

In the two municipalities the petition was not registered. Also, there were single successful attempts in two municipalities. The Civil Advisory Board is in all four municipalities, but the problem is their functioning. The general assembly of a settlement is use in three municipalities, but in most cases, initiatives come directly from the Mayor's offices.

As a result of the population survey, it was found that most of the population does not have information about the mechanisms of participation. Except Gori, in all municipalities of Shida Kartli more than half of the respondents incorrectly named the forms of participation. In terms of citizen participation, issues related to infrastructural projects are most often discussed in Shida Kartli region.

The main obstacle to citizen participation is the lack of information, which leads to the nihilistic attitude of the population.

სარჩევი

ანოტაცია 2

Annotation 4

შესავალი 7

თავი I. ადგილობრივი თვითმმართველობა და მოქალაქეთა მონაწილეობა საქართველოში 27

1.1 ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში - ისტორიული და საკანონმდებლო მიმოხილვა 27

1.2 მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკა ადგილობრივ თვითმმართველობაში დღეს არსებული ფორმების შემოღებამდე 28

თავი II. მოქალაქეთა მონაწილეობის თანამედროვე მექანიზმები 30

2.1 „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრული ფორმები 30

2.2 სამოქალაქო ბიუჯეტი - მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი მექანიზმი 35

თავი III. მოქალაქეთა მონაწილეობა შიდა ქართლის რეგიონში 37

3.1 გორის მუნიციპალიტეტი 37

3.2 ქარელის მუნიციპალიტეტი 45

3.3 ხაშურის მუნიციპალიტეტი 48

3.4 კასპის მუნიციპალიტეტი 52

3.5 ჩატარებული ინტერვიუებისა და მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები 55

3.6 მოქალაქეთა მონაწილეობის შეფასება 66

დასკვნა 71

რეკომენდაციები 73

ბიბლიოგრაფია 76

დანართი 80

შესავალი

მოქალაქეობრიობამ, როგორც გლობალური დემოკრატიის პოპულარიზაციისა და გარღმავების კონცეფციამ, ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით უდიდესი ყურადღება მიიპყრო. ძლიერი და კარგად ფუნქციონირებადი დემოკრატია ითვალისწინებს იმას, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ სურვილი და შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, რომელიც გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე (Ito, 2017).

მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელების პროცესში განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი მექანიზმი იმისათვის, რათა მივაღწიოთ მიზნებს, გავაძლიეროთ ადგილობრივ დონეზე ანგარიშვალდებულება და საზოგადოებას რეალურად მივცეთ უფლებამოსილებები. ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც გვეხმარება გავზარდოთ მოქალაქეთა ნდობა ხელისუფლების მიმართ, შევამციროთ ნეპოტიზმი, უკეთ გავიგოთ მოსახლეობის საჭიროებები, გავაუმჯობესოთ ადგილობრივ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები და სერვისების მიწოდების ხარისხი. გარდა ამისა, ჩართულობა უფრო ადეკვატურს ხდის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესს. ეს უკანასკნელი მით უფრო ეფექტიანია, რაც მეტია ჩართული ადამიანების რიცხვი, რადგან თითოეული საკუთარი პერსპექტივით უყურებს ბიუჯეტის პოტენციურ ხარჯებს, მათი ურთიერთშეთანხმება კი იდეალურ გეგმას ქმნის (Pandeya, 2015).

საზოგადოებისათვის უფლებამოსილებების მინიჭება ნიშნავს მივცეთ მათ თავდაჯერებულობა, უნარები და ძალა იმისათვის, რათა აკონტროლონ, თუ რას აკეთებს ადგილობრივი მმართველობა მათთვის. ეს არის პროცესი, როდესაც ადგილობრივ მმართველობით ორგანოებს შეუძლიათ მოსახლეობასთან დაახლოება და შესაძლებლობების გაძლიერება. უფლებამოსილებათა მინიჭება აუცილებელია უკეთესი ცხოვრების შექმნისათვის, რისთვისაც საჭიროა ერთად მუშაობა. ადგილობრივ მმართველობას არ შეუძლია გადაჭრას ყველა პრობლემა ხალხის დახმარების გარეშე

და პირიქით, ხალხს არ შეუძლია მოაგვაროს პრობლემები ადგილობრივი მმართველობის გარეშე. შესაბამისად, აუცილებელია მათი კოორდინირებული მუშაობა (Patel, 2009).

თემის აქტუალურობა

დემოკრატია ბერძნული სიტყვაა და „ხალხის მმართველობას“ ნიშნავს. თანამედროვე პერიოდში მმართველობის ეს ფორმა საუკეთესოდაა აღიარებული და განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა განსხვავებული გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიული გამოცდილების, ეკონომიკური მდგომარეობის, მოსახლეობის რაოდენობისა თუ ფართობის მიუხედავად, ცდილობს დანერგოს და განავითაროს დემოკრატიის ფუძემდებლური პრინციპები.

ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობის განვითარება, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მაღალი ხარისხი პირდაპირ არის დაკავშირებული აქტიური სამოქალაქო საზოგადოების არსებობასთან. რაც უფრო მაღალია მოქალაქეთა მონაწილეობის მაჩვენებელი ხელისუფლების განხორციელების პროცესში, მით უფრო მაღალია ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა. ეს ყველაფერი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივ დონეზე. დეცენტრალიზებული მმართველობა, გამართულად ფუნქციონირებადი ადგილობრივი თვითმმართველობა და მოქალაქეთა ჩართულობისათვის საჭირო ქმედითი მექანიზმების არსებობა დემოკრატიული განვითარების ქვაკუთხედია.

საზოგადოების მონაწილეობის მნიშვნელობა ნათლად არის ხაზგასმული ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოხსენებაში: „საზოგადოება არის პროგრამებისა და პოლიტიკის წარმატების რეალური საზომი. ამავე დროს, საზოგადოება წარმატების განმსაზღვრელიცაა. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, საცხოვრებლად ყველაზე რთულ ქალაქებსა და ყველაზე შორეულ სოფლებშიც კი შეიძლება წარმატების მიღწევა მაშინ, როცა მოქალაქეები მოქმედებენ განსაზღვრულად და იციან როგორ მიაღწიონ იმ

მიზანს, რომელიც მათთვის აუცილებელია. დღეისათვის, უკვე მოგვარებულია ის პრობლემები, რომელთა გადაჭრა წარსულში წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა. სასწაული ხდება“ (Patel, 2009).

მოქალაქეთა მონაწილეობა აუმჯობესებს სერვისების მიწოდების ხარისხს, ხელს უწყობს პლურალიზმს, სოციალურ ინტეგრაციასა და სტაბილურ ყოველდღიურ ცხოვრებას. იგი უზრუნველყოფს დაპირიპისრებული ჯგუფების შერიგებას, მათ დაახლოებას საერთო პრობლემების გადაწყვეტის პროცესში (Miller, 2002).

საქართველოს მსგავს ქვეყნებში, სადაც დეცენტრალიზაციის პროცესი მიმდინარეობს, ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის სტიმულირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამ კუთხით ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში განვითარებადი ქვეყნების მიერ არაერთი ქმედითი ნაბიჯი გადაიდგა და გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ დეცენტრალიზაცია ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელდა და ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. მოქალაქეთა მონაწილეობის თვალსაზრისით, ყველაზე გამოსარჩევი იყო 2015 წელს ახალი მექანიზმების შემუშავება, რომელიც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 85-ე მუხლში გაიწერა.

აღნიშნული რეფორმის შედეგად მოწესრიგდა სამართლებრივი ჩარჩო, თუმცა მონაწილეობის მექანიზმების დანერგვისა და ფუნქციონირების პროცესი, ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში განსხვავებულად წარიმართა. აღნიშნულ ფაქტს რამდენიმე მიზეზი განაპირობებს, მათ შორის, საქართველოს, როგორც ქვეყნის, არასაკმარისი გამოცდილება ამ მიმართულებით, მოქალაქეთა ინფორმირებულობის დაბალი დონე და ადგილობრივი საჯარო მოხელეების დაბალი კვალიფიკაცია.

თვითმმართველობის განვითარება და მოქალაქეთა თანამონაწილეობის პრაქტიკის დანერგვა საქართველოში დღესაც აქტიურად მიმდინარეობს. პროცესის წახალისებისათვის ხორციელდება უამრავი პროექტი, რომელიც დაყრდნობილია

საერთაშორისო გამოცდილებაზე. გარდა ამისა, იგეგმება არაერთი კვლევა, რომლის მიზანია არსებული მდგომარეობის შეფასება და საჭირო რეკომენდაციების შემუშავება. ამ მიმართულებით, ძირითადად ანალიზდება ქვეყანაში არსებული ზოგადი სიტუაცია ან კონკრეტული მუნიციპალიტეტის პრობლემები, ნაკლები ყურადღება ექცევა შეფასებას სამხარეო/რეგიონულ დონეზე. საინტერესო იქნება დოკუმენტების მომზადება საქართველოს ცალკეული მხარეების/რეგიონების მიხედვით. აღნიშნული კვლევის ჩატარების მოტივიც სწორედ შიდა ქართლის, როგორც საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის შეფასებაა მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია, შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში არსებული პრაქტიკის საფუძველზე, დადგინდეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 85-ე მუხლით განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების ეფექტიანობა.

კვლევის ამოცანა

კვლევის მიზნის შესაბამისად გამოიყო შემდეგი ამოცანები:

1. შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის დადგენა „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრული მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების შესახებ;
2. შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლა, რომელიც უკავშირდება მოქალაქეთა მონაწილეობას. მათ შორის პეტიციის, დასახლების საერთო კრებისა და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირების სტატისტიკის ანალიზი.

3. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების, არასამთავრობო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების შეხედულებების გამოვლენა შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკის შესახებ.
4. არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, დადგენა იმისა, თუ არნშტეინის „სამოქალაქო მონაწილეობის კიბის“ რომელ ჯგუფსა და საფეხურს შეესაბამება შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში მოქმედი მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები.
5. ძირითადი სოციალური, პოლიტიკური და სამართლებრივი ბარიერების იდენტიფიცირება, რომელიც ხელს უშლის მოქალაქეთა დაუბრკოლებელ მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში.
6. მოქალაქეთა მონაწილეობის ეფექტიანობის გასაზრდელად საჭირო რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ობიექტი

მოცემული კვლევის ობიექტია შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობა, არასამთავრობო სექტორი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. აგრეთვე, შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია მოქალაქეთა მონაწილეობასთან. გარდა ამისა, კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოში მოქალაქეთა მონაწილეობის საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობა და სხვადასხვა მეორეული წყარო, რომელიც უკავშირდება მოქალაქეთა მონაწილეობას ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელების პროცესში.

კვლევის არეალს წარმოადგენს შიდა ქართლის მხარე. აღნიშნული მხარის არჩევა, უმეტესწილად, განაპირობა ხელმისაწვდომობამ, შეზღუდული დროის პირობებში მაქსიმალური ინფორმაციის მიღების სურვილმა.

საკვლევი კითხვა

რამდენად ეფექტიანია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრული მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები?

იმისათვის, რათა გაკეთდეს დასკვნა ეფექტიანობის შესახებ, საჭიროა, საწყის ეტაპზე, დადგინდეს, ოპტიმალური გამოყენების პირობებში, არნშტეინის „სამოქალაქო მონაწილეობის კიბის“ რომელ ჯგუფსა და საფეხურს შეესაბამება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრული მოქალაქეთა მონაწილეობის თითოეული მექანიზმი, შემდგომ კი გაანალიზდეს შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში არსებული სიტუაცია და შეფასდეს ადეკვატურად გამოიყენება თუ არა თითოეულ მუნიციპალიტეტში აღნიშნული მექანიზმების პოტენციალი.

ქვე-კითხვები:

1. რა გარემოებები ახდენენ გავლენას მოქალაქეთა მონაწილეობის მაჩვენებელზე?
2. რა არის მოქალაქეთა მონაწილეობის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორები?

კვლევის ჰიპოთეზა

2015 წელს შემუშავებულმა მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებმა საქართველოს მუნიციპალიტეტებში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის კარგი საშუალებები შექმნა, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს მრავალი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის მოსახლეობის შეუფერხებლად ჩართვას ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელების პროცესში. დღევანდელი მდგომარეობით, მონაწილეობის ფორმების ეფექტიანობის მაჩვენებელი შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც საშუალო.

ქვე-ჰიპოთეზები:

1. მოქალაქეთა მონაწილეობის მაჩვენებელზე დიდ გავლენას ახდენს თვითმმართველი ერთეულის ეკონომიკური მდგომარეობა. მონაწილეობის მაჩვენებელი უფრო მაღალია ეკონომიკურად სუსტ მუნიციპალიტეტებში, სადაც

დაბალი ბიუჯეტისა და შეზღუდული რესურსების პირობებში, ადგილობრივი ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებათა სრულ დაკმაყოფილებას. ასეთ დროს ადგილობრივი საზოგადოება ცდილობს იყოს მეტად აქტიური და საკუთარი ძალისხმევით, ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელების პროცესში ჩართულობით მოაგვაროს პრობლემები. გარდა ამისა, მოქალაქეთა მონაწილეობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხზე. რაც უფრო მეტად არიან ადამიანები ინფორმირებულნი არსებული მექანიზმების შესახებ, მით უფრო მაღალია მათი მონაწილეობის მაჩვენებელიც.

2. მოქალაქეთა მონაწილეობის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი საზოგადოების ნიჰილისტური დამოკიდებულებაა. გარდა ამისა, მნიშვნელოვან შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს მკაცრი საკანონმდებლო შეზღუდვები, რომელიც პეტიციის წარდგენასა და დასახლების საერთის ინიცირებასა და ჩატარებას უკავშირდება.

ცვლადების ოპერაციონალიზაცია

დამოკიდებული ცვლადი - მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში;

დამოუკიდებელი ცვლადი - მონაწილეობის ფორმების ეფექტიანობა.

კვლევის მეთოდოლოგია და შერჩევა

კვლევის პროცესში გამოყენებულია როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. საწყის ეტაპზე, გაანალიზდა მეორეული წყაროები: ქართული და საერთაშორისო კანონმდებლობა, კვლევები, სტატიები და ანგარიშები მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ. მუნიციპალიტეტების მერიებიდან და საკრებულოებიდან გამოთხოვილი ინფორმაციისა და სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გაანალიზდა შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში არსებული სიტუაცია.

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ ჩატარდა შიდა ქართლის ოთხიდან სამი მუნიციპალიტეტის(გორი, ხაშური, ქარელი) მერიის თითო წარმომადგენელთან. ინტერვიუს მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რას ფიქრობს ადგილობრივი ხელისუფლება მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობაზე, დღეს არსებულ მექანიზმებზე, როგორ აფასებს მოქალაქეთა მზაობას და როგორ ესახება ჩართულობის პროცესის გაუმჯობესება. გარდა ამისა, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ ჩატარდა ოთხიდან სამი მუნიციპალიტეტის(გორი, ხაშური, ქარელი) მერიაში არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თითო წევრთან. ინტერვიუს მიზანი იყო მათი შეხედულებების დადგენა მოქალაქეთა მონაწილეობის აღნიშნული მექანიზმის შესახებ, რამდენად გამართლდა მოლოდინი საბჭოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და რა როლი აქვს ამ პროცესში სხვადასხვა აქტორს, მათ შორის, მოქალაქეებსა და არასამთავრობო სექტორს. არაერთი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა ინტერვიუების ჩაწერა კასპის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთან და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრთან. მიზეზი მათი მხრიდან თანამშრომლობის სურვილის არარსებობა იყო.

კვლევის პროცესში გამოიკითხა ორი არასამთავრობო ორგანიზაციის თითო წარმომადგენელი. ინტერვიუს მიზანი იყო მესამე სექტორის შეხედულებების განსაზღვრა დღეს არსებული მექანიზმების შესახებ და მათი როლის დადგენა მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესში.

ინტერვიუსებისათვის საჭირო კომპეტენტური რესპონდენტების მოძიებისათვის გამოყენებულია პირადი კონტაქტები.

მოქალაქეთა მოსაზრებების, შეხედულებებისა და ინფორმირებულობის დონის დასადგენად, ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, გამოიკითხა შიდა ქართლის ოთხივე მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, სულ 500 ადამიანი. მათ შორის, 100 ქარელის მუნიციპალიტეტში, 100 კასპის მუნიციპალიტეტში, 100 ხაშურის მუნიციპალიტეტში და 200 გორის მუნიციპალიტეტში. რესპონდენტები შემთხვევითი შერჩევის საშუალებით შეირჩნენ.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის შეზღუდვა მდგომარეობს იმაში, რომ შიდა ქართლის რეგიონში შემავალი ერედვის, ქურთისა და თიღვის მუნიციპალიტეტები ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. შესაბამისად, ვერ მოხერხდა ინფორმაციის შეგროვება მათ შესახებ. გარდა ამისა, დროის სიმწირისა და ადამიანური რესურსის ნაკლებობის გამო ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის შესახებ კვლევა არარეპრეზენტატულია. საინტერესო იქნებოდა შიდა ქართლის თითოეულ მუნიციპალიტეტში რეპრეზენტატული კვლევის ჩატარება მოქალაქეთა ინტერესების, შეხედულებებისა და ინფორმირებულობის დონის შესახებ. ამასთანავე, როგორც უკვე აღინიშნა, მრავალი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა ინტერვიუს ჩაწერა კასპის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთან და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრთან.

თეორიული ჩარჩო

კვლევის პროცესში გაანალიზებულია შერი არნშტეინის „სამოქალაქო თანამონაწილეობის კიბე“.

შერი არნშტეინი(Sherry Arnstein), 1969 წელს შექმნილ საკუთარ ნაშრომში, "სამოქალაქო მონაწილეობის კიბე"("A Ladder of Citizen Participation“), განიხილავს მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესის რვა დონეს, რომელიც საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას ასახავს. თითოეული საფეხური შეესაბამება საბოლოო შედეგის განსაზღვრაში მოქალაქეთა მონაწილეობის გარკვეულ დონეს (ყიფიანი, 2016).

თავის მხრივ, აღნიშნული რვა დონე გაერთიანებულია სამ ჯგუფში:

დონე(კიბის საფეხური):	**ჯგუფი:**
8. სამოქალაქო კონტროლი	

7. ძალაუფლების დელეგირება	მოქალაქეთა ძალაუფლება
6. პარტნიორობა	
5. დამშვიდება(გულის მოგება)	სიმბოლური მონაწილეობა
4. კონსულტირება	
3. ინფორმირება	
2. თერაპია	არამონაწილეობა
1. მანიპულირება	

მოქალაქეთა მონაწილეობა, თავისი არსით, კატეგორიულად მოითხოვს ძალაუფლების დელეგირებას ისე, რომ საზოგადოებას შეეძლოს რეალური გავლენის მოხდენა პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე, თუმცა ხშირ შემთხვევაში ჩართულობის მექანიზმები მხოლოდ ცარიელი "რიტუალია", რომელიც გამორიცხავს რეალურ მონაწილეობას (Southeast Community Research Center, 2019). არნშტეინის კიბე არის ერთგვარი გზამკვლევი, რომელიც გვიჩვენებს იმას, თუ ვის აქვს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება. რაც უფრო დიდია ამ პროცესში მოქალაქეთა როლი, კიბის მით უფრო მაღალ საფეხურს შეესაბამება ესა თუ ის კონკრეტული სიტუაცია (The Citizens Handbook). ავტორი აღწერს ძალაუფლების სტრუქტურას, სადაც ერთმანეთთან ურთიერთობს ორი აქტორი - ხელისუფლება, როგორც გადაწყვეტილების მიმღები და საზოგადოება, როგორც დაინტერესებული მხარე, რომელსაც უშუალოდ ეხება ამ გადაწყვეტილების შედეგები (RRI Tools, 2017). არნშტეინის მთავარი განზრახვა იყო, ერთი მხრივ, აღეწერა ძალაუფლების არმქონე საზოგადოებრივი ჯგუფების უფუნქციო როლი მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ხოლო, მეორე მხრივ, ეჩვენებინა რეალური ძალაუფლების მქონე მოქალაქეთა გავლენა საბოლოო გადაწვეტილების მიღებაზე (Australian National University, 2016).

არნშტეინის კიბის ყველაზე ქვედა საფეხურებია მანიპულირება და თერაპია. ეს ორი საფეხური არამონაწილეობის დონეებს ასახავს, რომლებიც რეალურ მონაწილეობას ანაცვლებს. მათი რეალური მიზანია არ დაუშვან ადამიანები პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაში (ყიფიანი, 2016).

არამონაწილეობაში(მანიპულირება და თერაპია) იგულისხმება ადამიანების შეყვანა საჩვენებელ საკონსულტაციო კომიტეტებსა და საზოგადოებრივ კოლეგიებში, რომლის მიზანია მონაწილეობის ილუზიის შექმნა. კიბის ქვედა საფეხურები მოქალაქეთა ნამდვილი მონაწილეობის ნაცვლად, ფაქტობრივად, მონაწილეობის გაყალბებას ნიშნავს (სამოქალაქო მონაწილეობის კიბე - შერი პ. არნშტეინი, 2015).

მესამე და მეოთხე საფეხურები(ინფორმირება და კონსულტირება) სიმბოლური მონაწილეობის დონეებია, რომლებიც მოქალაქეების მხრიდან აზრის გამოთქმისა და ხელისუფლების მხრიდან მათი აზრის მოსმენის საშუალებას იძლევა, მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ აქვთ გარანტია, რომ ხელისუფლება მათ აზრს გათვალისწინებს. აგრეთვე შეუძლებელია იმის შემოწმება, თუ როგორ სრულდება დაპირებები, რადგან არ არსებობს შემოწმების არავითარი მექანიზმი (ყიფიანი, 2016).

ინფორმირების დონე გულისხმობს მოქალაქეთათვის მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობების გაცნობას, მოქმედების საშუალებათა შესახებ ინფორმაციის მიწოდებას - ეს ყველაფერი, შესაძლოა, მნიშვნელოვან პირველ ნაბიჯად იქცეს ლეგიტიმური სამოქალაქო მონაწილეობისათვის, თუმცა, ამ პირობებში, ინფორმაციის მიწოდება, ძირითადად, დაგეგმარების გვიან სტადიებზე ხდება და საზოგადოებას ნაკლები საშუალება ეძლევა გავლენა მოახდინოს პროგრამების განხორციელებაზე. შეხვედრები, ხშირ შემთხვევაში, ცალმხრივი კომუნიკაციის სახეს იღებენ, სადაც მიმდინარეობს ზედაპირული ინფორმაციის მიწოდება, არაფრისმომცემი შეკითხვების დასმა და არაარსებითი პასუხების გაცემა (სამოქალაქო მონაწილეობის კიბე - შერი პ. არნშტეინი, 2015).

კონსულტირების დონეზე მოქალაქეებს მათთვის მიწოდებული ინფორმაციის შესახებ აზრის გამოთქმას სთხოვენ - ეს, შესაძლოა, კანონიერ ნაბიჯად იქცეს მათი მონაწილეობის გზაზე, თუმცა თუ კონსულტირება შერწყმული არაა მონაწილეობის სხვა ფორმებთან, კიბის ეს საფეხური მხოლოდ თაღლითობად რჩება, რადგან არ არსებობს არანაირი გარანტიები, რომ მოქალაქეთა შეხედულებები გათვალისწინებული იქნება. იმ შემთხვევაში, თუ ძალაუფლების მფლობელები მოქალაქეთაგან იდეებისა და შეხედულებების მიღებას მხოლოდ ამ დონით შემოიფარგლებიან, მონაწილეობა კვლავ მხოლოდ ბუტაფორულ „რიტუალად“ დარჩება. ერთადერთი, რასაც მოქალაქეები ამ დონეზე აკეთებენ - „მონაწილეობენ მონაწილეობაში“, ხოლო ხელისუფლება ამგვარად იმას ამტკიცებს, რომ საზოგადოების მონაწილეობის ყველა ფორმალური პროცედურა შესრულებულია (სამოქალაქო მონაწილეობის კიბე - შერი პ. არნშტეინი, 2015).

მეხუთე საფეხური(დამშვიდება) სიმბოლურ ღონისძიებათა უფრო მაღალი დონეა. კიბის აღნიშნულ საფეხურზე მოქალაქეთა სათათბირო ხმის უფლების არსებობა გათვალისწინებულია, თუმცა გადაწყვეტილების მიღება კვლავ მხოლოდ ხელისუფლების პრეროგატივაა (ყიფიანი, 2016).

დამშვიდების დონეზე მოქალაქეები იწყებენ მოვლენათა მსვლელობაზე გარკვეული გავლენის მოხდენას, თუმცა მათი მონაწილეობის სიმბოლური ხასიათი კვლავ აშკარაა. დამშვიდების სტრატეგიის მაგალითი შეიძლება იყოს ქალაქების საკონსულტაციო და გეგმარებითი კომიტეტები. ისინი საშუალებას აძლევენ მოქალაქეებს უსასრულოდ აწარმოონ კონსულტაცია და დაგეგმარება, მაგრამ რეკომენდაციათა კანონიერებისა და მიზანშეწონილობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების უფლება კვლავ ძალაუფლების მფლობელებს რჩებათ (სამოქალაქო მონაწილეობის კიბე - შერი პ. არნშტეინი, 2015).

კიბის ზედა საფეხურებზე განთავსებულია გადაწყვეტილების მიღებისას მზარდი პრივილეგიების მქონე მოქალაქეთა მონაწილეობის დონეები. მოქალაქეებს შეუძლიათ დაამყარონ პარტნიორული ურთიერთობები, რაც ხელისუფლებასთან მოლაპარაკებათა წარმოებისა და კომპრომისების მიღწევის საშუალებას იძლევა. ყველაზე ზედა

საფეხურებია უფლებამოსილებათა დელეგირება და სამოქალაქო კონტროლი, რომლებიც მოქალაქეთა მიერ კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას ქმნის ან მმართველობით გადაწყვეტილებაზე სრულ კონტროლს იძლევა (ყიფიანი, 2016).

პარტნიორობა - კიბის ამ საფეხურზე ძალაუფლება, ფაქტობრივად, გადანაწილდება ხელისუფლებასა და მოქალაქეთა შორის მოლაპარაკებათა გზით. ისინი დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების საკითხებში უფლებამოსილებათა განაწილების შესახებ შეთანხმებებს აღწევენ ისეთი სტრუქტურების მეშვეობით, როგორიცაა ერთობლივი ხელმძღვანელი საბჭოები და საგეგმო კომიტეტები. განსაკუთრებულ წარმატებას პარტნიორული ურთიერთობები აღწევს ისეთ თემებში, სადაც არსებობს ორგანიზებული სამოქალაქო ძალაუფლების ცენტრები და ადგილობრივი აქტივისტები მათ წინაშე არიან პასუხისმგებელნი ან იქ, სადაც მოქალაქეთა ჯგუფებს თავისი აქტივისტების შრომის ანაზღაურების ფინანსური სახსრები გააჩნიათ (სამოქალაქო მონაწილეობის კიბე - შერი პ. არნშტეინი, 2015).

მოქალაქეთა და ხელისუფლებას შორის მოლაპარაკებების შედეგი ასევე შეიძლება იყოს მოქალაქეთა მიერ ცალკეულ პროგრამათა და გეგმების შემთხვევაში გადამწყვეტი ძალაუფლების მოპოვება, რასაც კიბის მეშვიდე საფეხურამდე(ძალაუფლების დელეგირება) მივყავართ. ამის მაგალითებია ქალაქების პროგრამების ხელმძღვანელი საბჭოები და სათემო აქტივობის სააგენტოსთან არსებული არჩევითი სტრუქტურები, სადაც მოქალაქეებს ხმათა უმრავლესობა და მკაფიოდ განსაზღვრული უფლებამოსილებანი აქვთ. კიბის ამ საფეხურზე მოქალაქეთა გავლენა ძლიერია, რაც პროგრამების განხორციელებაზე სრულფასოვანი კონტროლის საშუალებას იძლევა. (სამოქალაქო მონაწილეობის კიბე - შერი პ. არნშტეინი, 2015).

კიბის ყველაზე ზედა საფეხურია სამოქალაქო კონტროლი, რომლის დროსაც საზოგადოების სრული კონტროლის ქვეშაა პოლიტიკის შემუშავებისა და პროგრამების

დაგეგმვა-განხორციელების შესაძლებლობები (სამოქალაქო მონაწილეობის კიბე - შერი ჰ. არნშტეინი, 2015).

ლიტერატურის მიმოხილვა

მოქალაქეთა მონაწილეობა ხელისუფლების განხორციელების პროცესში - ეს არის საკითხი, რომელიც ბოლო რამდენიმე ათეული წელია დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთ მთავარ თემად მიიჩნევა და აქტუალურია როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში. იგი წარმოადგენს პოლიტიკოსების, არასამთავრო ორგანიზაციებისა და ექსპერტების ხმაურიანი დისკუსიის საგანს (Zandberger & Jaffe, 2014). აღიარებულია, რომ დემოკრატიული მმართველობა იქნება უაზრო, თუ მთავრობები არ უზრუნველყოფენ საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. მოქალაქეთა ჩართულობა აძლიერებს დემოკრატიას, ზრდის ანგარიშვალდებულებას, აგვარებს სოციალურ კონფლიქტებს, აუმჯობესებს ლეგიტიმაციის ხარისხს (Bastidas, 2004)

ჯერ კიდევ 1980-იან წლებში იყო საუბარი იმაზე, რომ მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში აუმჯობესებდა სერვისების მიწოდებას, ზრდიდა მოქალაქეთა ნდობას ხელისუფლების მიმართ (Pandeya, 2015). მას შემდეგ მრავალი ავტორის მიერ გამოითქვა საინტერესო მოსაზრება და შეიქმნა არაერთი თეორია და კონცეფცია.

თანამედროვე პერიოდში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, იქმნება ახალ-ახალი მექანიზმები, რომელთა მიზანია მოქალაქეთა პირდაპირი ჩართულობის უზრუნველყოფა ხელისუფლების განხორციელების პროცესში. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ადგილობრივ დონეზე. აქ მთავარი შეკითხვაა ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა და რა ტიპის ორგანიზაციების ჩართვაა საჭირო (McNulty, 2013). მიუხედავად მონაწილეობის არაერთი მექანიზმის შემუშავებისა, ამ მიმართულებით გამოწვევები ჯერ კიდევ ბევრია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მოსახლეობა, რომელიც სიღარიბეში ცხოვრობს.

ჩართულობის ფორმები, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მათთვისაა მნიშვნელოვანი (Larocque, 2011).

საჯარო ადმინისტრირების თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ მთავრობამ საზოგადოება სტრატეგიული დაგეგმვის ცენტრალურ ფიგურად უნდა მოიაზროს და უზრუნველყოს მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მოგვარებაში (Lachapelle & Shanahan, 2010). გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობა ხელისუფლებას ეხმარება ადეკვატურად განსაზღვროს პრიორიტეტები როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. საზოგადოებასთან დიალოგი საჯარო მოხელეებს საშუალებას აძლევს უკეთესად მოახდინონ რეაგირება მიმდინარე პრობლემებზე და რაციონალურად გამოიყენონ არსებული რესურსები (Kimemia, 2017). მოქალაქეთა მონაწილეობას ცენტრალური ადგილი უჭირავს კორუფციასთან ბრძოლის პროცესში, რადგან ის აუმჯობესებს ანგარიშვალდებულების ხარისხს, ხელს უწყობს სამართლიანობისა და თანასწორობის დამყარებას ადგილობრივ დონეზე (Brillantes & Fernandez, 2011). მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესი განსხვავებული ღირებულებების მქონე საზოგადოებრივი ჯგუფების წევრებს შორის დიალოგის საშუალებას იძლება (The Involve Foundation, 2018).

თანამედროვე პერიოდში საჯარო მოხელეთა მთავარი საზრუნავი ისეთი საშუალებებისა და ინსტრუმენტების იდენტიფიცირებაა, რომელთა წყალობითაც ისინი შეძლებენ აღმოფხვრან იერარქიული, ვერტიკალური ხელმძღვანელობა და განავითარონ ჰორიზონტალური მმართველობა. ასეთ დროს ძირითადი აქცენტი სწორედ მოსახლეობის ჩართულობაზე კეთდება. „სათათბირო დემოკრატიის“ თანახმად, საზოგადოებას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს საჯარო პოლიტიკის შემუშავებასა და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საზოგადოებას აქვს უფლება განსაზღვროს, თუ რა არის მათთვის პრიორიტეტული და როგორ უნდა მიაღწიონ დასახულ მიზნებს (Bingham, Nabatchi, & O'Leary, 2005).

„სათათბირო დემოკრატიის“ თანახმად:

- მოქალაქე განიხილება, როგორც ამომრჩეველი, კლიენტი და პარტნიორი;
- მოქალაქეს აქვს ინტერესის გამოხატვის უნარი;
- საზოგადოებრივი ღირებულებები და ინტერესები ყალიბდება დიალოგის რეჟიმში;
- მოქალაქეთა მონაწილეობა ნორმატიული და ინსტრუმენტულია;
- მოქალაქე არის კომპეტენტური და აქვს მონაწილეობის სურვილი;
- მოქალაქეთა მონაწილეობა წარმოადგენს თანამშრომლობასა და პარტნიორობას;
- საჯარო მოხელეები ანგარიშვალდებულნი არიან მოქალაქეების მიმართ (Kathi & Cooper, 2005).

ქეროლ ებდონისა(Carol Ebdon) და აიმეს ფრანკლინის(Aimee L. Franklin) თანახმად, შეგვიძლია გამოვყოთ ის ძირითადი ელემენტები, რომელიც გავლენას ახდენენ მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესის ეფექტიანობაზე:

1. პოლიტიკური გარემო - იგი თავის მხრივ რამდენიმე ქვე-ელემენტად იყოფა, მაგალითად, ხელისუფლების სტრუქტურა და ფორმა, პოლიტიკური კულტურა, სამართლებრივი მოთხოვნები, მოსახლეობის ზომა და ჰეტეროგენულობა. როგორც ავტორები აცხადებენ, ჩართულობის მექანიზმები უფრო ეფექტიანია იქ, სადაც მოსახლეობა უფრო ჰეტეროგენულია - ეს წარმოშობს პოლიტიკური ხედვების განსხვავებულობას და თითოეული მხარე ცდილობს თავისი მიზნების მიღწევას, შესაბამისად, უფრო მოტივირებულია მონაწილეობისაკენ.
2. პროცესის დიზაინი - ისიც რამდენიმე ქვე-ელემენტად შეიძლება ჩავშალოთ: დროის მენეჯმენტი, მონაწილეთა შერჩევის ფორმები, ბიუჯეტის განაწილების სახეობა, გადახდის სურვილი. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი მოქალაქეთა შერჩევის ფორმების ადეკვატური განსაზღვრაა. პრაქტიკაში ცნობილია როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური(მაგალითად, სამეზობლო საბჭოები) შერჩევები.

შერჩეული მოქალაქეები უნდა იყვნენ განსხვავებული ასაკისა და ინტერესესის მქონე პიროვნებები.

3. მექანიზმები - აქ იგულისხმება რამდენიმე ფორმა, მაგალითად, სიმულაციები, ფოკუს ჯგუფები, საჯარო შეხვედრები, გამოკითხვები.
4. მიზნები და შედეგები - ეს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია და მოიცავს ისეთ ქვე-ელემენტებს, როგორიცაა: ნეპოტიზმისა და ცინიზმის შემცირება, მოქალაქეების ინფორმირებულობის გაზრდა ბიუჯეტის კომპონენტების შესახებ, საბიუჯეტო წინადადებების მხარდაჭერის მოპოვება საზოგადოების წევრებში, ნდობის მოპოვება, საზოგადოებრივი რესურსების ეფექტიანი განაწილება, მოქალაქეობრივი განცდის/სულისკვეთების ჩამოყალიბება (Ebdon & Franklin, 2006).

ეფექტიანი მონაწილეობა გულისხმობს ზედმიწევნით ზუსტ დაგეგმვას იმისა, თუ როგორ და რა მექანიზმებით უნდა განხორციელდეს აღნიშნული პროცესი და ვინ უნდა იყოს ჩართული. უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს იმ მოქალაქეთა მონაწილეობა, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ესა თუ ის გადაწყვეტილებები ან პროგრამები. მათი მონაწილეობა შესაძლოა როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფური ფორმატით. გარდა ამისა, ეფექტიანი მონაწილეობა გულისხმობს ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღებას. შესაბამისად, იმ ადამიანებმა, ვინც ჩართულები არიან ამ პროცესში, უნდა დააფასონ და გაითვალისწინონ სხვათა მოსაზრებები, თუნდაც ეს მათი იდეოლოგიისათვის მიუღებელი იყოს. საუბარია განსხვავებული პოლიტიკური ორიენტეციის, კულტურული მახასითებლებისა და რელიგიური აღმსარებლობის მოქალაქეებზე. როდესაც ადამიანები თანხმდებიან ხელისუფლების განხორციელების პროცესში მონაწილეობას, ისინი გარკვეული ტიპის დათმობებზე წასასვლელად მზად უნდა იყვნენ (Krishnaswamy, 2009).

მოქალაქეთა ეფექტიანი მონაწილეობა, ხშირ შემთხვევაში, დამოკიდებულია ათი მთავარი პრინციპის შესრულებაზე. ესენია: სისტემური მიდგომა, მიზანშეწონილობა,

ინკლუზიურობა, დროულობა, ეფექტიანობა, დამოუკიდებლობა, ინფორმაციის თავისუფლება და ხარისხი, გამჭვირვალობა, ხარისხიანი უკუკავშირი, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (Centers for Information and Public Participation in Environmental, 2012).

მერედით ედვარსი(Meredith Edwards), ჯონ ჰალიგანი(John Halligan), ბრაინ ჰორიგანი(bryan Horrigan) და ჯოფრი ნიკოლი(Geoffrey Nicoll), საკუთარ ნაშრომში, გამოყოფენ ჩართულობის სამ დონეს, რომელზეც ხელისუფლებას შეუძლია მოსახლეობის მონაწილეობა უზრუნველყოს:

1. ინფორმაციის მიწოდება - ეს არის ცალმხრივი ურთიერთობა და ხელისუფლების მხრიდან მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებას ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობისადმი. იგი გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას და არა უკუკავშირს/მოსახლეობის აზრის გაგებას. აქ იგულისხმება როგორც „პასიური“ მიწოდება ანუ საჯარო მოხელეების მიერ საკუთარი სურვილით ინფორმაციის გაზიარება, ასევე „აქტიური“ მიწოდებაც, რაც გულისხმობს ინფორმაციის გადაცემას მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე.
2. კონსულტაცია - ეს არის ორმხრივი ურთიერთობა, რომლის ფარგლებშიც ხელისუფლება სცდება ინფორმაციის მიწოდების მშრალ მეთოდს და აქ უკვე ადგილი აქვს უკუკავშირის უზრუნველყოფას, მოსახლეობასთან ერთად პოტენციური პროექტების განხილვას, ადგილობრივების აზრის დაფიქსირებას.
3. აქტიური მონაწილეობა - ეს არის ურთიერთობა, რომელიც დამყარებულია პარტნიორობაზე. ამ დროს, უკუკავშირის უზრუნველყოფისა და მხოლოდ საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების გარდა, მოსახლეობა აქტიურად არის ჩართული პოლიტიკების შემუშავებაში, დღის წესრიგის განსაზღვრაში, ბიუჯეტის დამტკიცებაში. ეს კატეგორია ითვალისწინებს გარკვეული დელეგირებული უფლებამოსილების გადაცემასაც, აგრეთვე, კონტროლის მექანიზმის არსებობასაც ადგილობრივი მოსახლეობის ხელში (Edwards, Halligan, Horrigan, & Nicoll, 2012).

ხშირად მოქალაქეთა მონაწილეობა დაყოფილია, ერთი მხრივ, აქტიურ და პასიურ, მეორე მხრივ, კი პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ მონაწილეობად. პასიურ პოლიტიკურ მონაწილეობად მიიჩნევა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც მოთხოვნა-მიწოდების რეჟიმში ხორციელდება. პასიურ ადმინისტრაციულ მონაწილეობაში იგულისხმება მოსახლეობის დამოკიდებულების გამომვა საჯარო სერვისების მიწოდების ხარისხზე. აქტიურ პოლიტიკურ მონაწილეობად მიიჩნევა არჩევნების მონაწილეობა და პეტიციის მომზადება. აქტიურ ადმინისტრაციულ მონაწილეობაში იგულისხმება მოქალაქეთა საერთო კრებები, სადაც ხორციელდება აზრებისა და იდეების გაცვლა ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის (Suh, 2003).

მოქალაქეთა ჩართულობის თვალსაზრისით, შესაძლებელია, მონაწილე აქტორების კლასიფიცირებაც. ამ კუთხით ექვსი ძირითადი დონე გამოიყოფა:

1. ინერტულები - მოქალაქეები, რომლებიც არაფერს აკეთებენ ამ მიმართულებით;
2. ხმის მიცემის სპეციალისტები - მოქალაქეები, რომელთა ჩართულობაც მხოლოდ არჩევნებზე სიარულსა და ხმის მიცემაში გამოიხატება;
3. შეზღუდულად ჩართულები - მოქალაქეები, რომლებიც დაინტერესებული არიან მხოლოდ ვიწრო საკითხების გადაწყვეტით, მაგალითად, გარემოს დაცვა ან განათლების ხელმისაწვდომობა;
4. სოციალური საკითხების მცოდნეები - მოქალაქეები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები ადგილობრივ დონეზე სოციალური საკითხების გადაწყვეტაში. მათ აინტერესებთ როგორ იგეგმება მუნიციპალიტეტის სოციალური პოლიტიკა, როგორ ხდება მისი განხორციელება და შეფასება, თუმცა ინტერესს არ გამოხატავენ სხვა სფეროს საკითხების მიმართ;
5. კამპანიის მონაწილეები - მოქალაქეები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიებში;

6. სრულყოფილი მონაწილეები - მოქალაქეები, რომლებიც მონაწილეობენ ყველაფერში, რაც მათ თვითმმართველ ერთეულში ხორციელდება (Brodie, Cowling, Nissen, Parine, Jochum, & Warburton, 2009)

მოქალაქეთა მონაწილეობა, თავისი არსით, „კარგი მმართველობის“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია. საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში მრავალ აქტორია ჩართული და თითოეულ მათგანს საკუთარი შეხედულებები გააჩნია, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, სხვებისგან განსხვავებულია. „კარგი მმართველობა“ მოითხოვს აღნიშნულ განსხვავებულ ინტერესებს, შეხედულებებსა და მოსაზრებებს შორის შუამოავლობას, რათა საზოგადოებამ მიაღწიოს კონსენსუსს და მიიღოს გადაწყვეტილება, რომელის მთელი საზოგადოების ინტერესებს შეესაბამება. “კარგი მმართველობის“ თანახმად, მონაწილეობა უნდა იყოს ინფორმირებული და ორგანიზებული - ერთი მხრივ, ეს ნიშნავს შეხედულებებისა და გამოხატვის თავისუფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, ორგანიზებულ სამოქალაქო საზოგადოებას (Sheng, n.d).

თავი I. ადგილობრივი თვითმმართველობა და მოქალაქეთა მონაწილეობა საქართველოში

1.1 ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში - ისტორიული და საკანონმდებლო მიმოხილვა

ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური რეგულირების ტრადიცია საქართველოში 1921 წლის თებერვლის კონსტიტუციიდან მომდინარეობს, რომელიც თვითმმართველობას სახელმწიფო ხელისუფლების გაგრძელებად მოიაზრებდა: „ადგილობრივი თვითმმართველობა არის ორგანო ადგილობრივი მმართველობისა". მისი ძირითადი ფუნქცია სამეურნეო და კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხების გამგებლობა იყო. მართვა–გამგეობის საქმეში ის მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს ემორჩილებოდა. 1921 წელს, საქართველოს სუვერენიტეტის დაკარგვასთან ერთად, საქართველოში შეწყდა კონსტიტუციურ-სამართლებრივი პროცესების ნორმალური განვითარება, რაც კვლავ აქტუალური გახდა 1993-1995 წლებში (მახარაძე, 2014).

1995 წლის 24 აგვისტოს მიიღეს საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტმა განამტკიცა ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური გარანტია: "საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება ორგანული კანონით" (სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, 2015).

2004 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა "ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის" რატიფიცირება, რითაც ხელისუფლებამ ევროპის საბჭოს წინაშე აიღო მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის გატარების ვალდებულება. ქარტიის რატიფიცირებით საქართველოში შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის

რეფორმის განხორციელების მყარი საფუძველი, რამაც განაპირობა 2005-2007 წლებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ადგილობრივი თვითმმართველობის ზოგად პრინციპთან და ევროპის საბჭოს მოთხოვნებთან (სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, 2015).

2014 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მესამე და საბოლოო მოსმენით დაამტკიცა "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", რომლის მიღებით, ერთ ორგანულ კანონში გაერთიანდა თვითმმართველობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2014).

1.2 მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკა ადგილობრივ თვითმმართველობაში დღეს არსებული ფორმების შემოღებამდე

ხელისუფლების განხორციელების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა პირდაპირ არის დაკავშირებული მმართველობის დეცენტრალიზაციის ხარისხთან. მართვის ცენტრალიზაცია გამორიცხავს მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. 1991 წლამდე საქართველოში არსებული ზეცენტრალიზებული მართვა საზოგადოების მონაწილეობას ფიქციად აქცევდა. 1992-1998 წლებში გამოცემული დებულებები ადგილობრივი მმართველობის შესახებ, ფორმალურად, აღიარებდნენ ადგილობრივი მმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობას, თუმცა მათი პრაქტიკული განხორციელება არ მომხდარა. 2005 წელს მიღებულმა ახალმა ორგანული კანონმა "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" გაფართოებულად წარმოადგინა თვითმმართველობის განხორციელებაში საზოგადოების მონაწილეობის საკითხი. 2009 წლის 28 დეკემბერს, აღნიშნულ კანონს დაემატა ახალი თავი - „მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობის განხორციელებაში", რომლის შედეგად მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიღებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მონაწილეობის დამატებითი სამართლებრივი გარანტიები შეიქმნა. მიუხედავად ამისა, ჩატარებული კვლევები ადასტურებდა, საზოგადოების აქტიურობა

მნიშვნელოვნად არ იყო შეცვლილი (სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, 2015).

2015 წლის ივლისში, საქართველოს პარლამენტმა განიხილა და დაამტკიცა ცვლილებათა პაკეტი, რომლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ახალი ფორმები განისაზღვრა. პროექტის ავტორთა განმარტებით, აღნიშნული ცვლილები განპირობებული იყო თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის საკითხების არასაკმარისი რეგულირებითა და სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით ცალკეული მუხლების გამართვა-დაზუსტების აუცილებლობით (თვალთვაძე, 2017).

თავი II. მოქალაქეთა მონაწილეობის თანამედროვე მექანიზმები

2.1 „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრული ფორმები

2015 წელს შემუშავებული მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმები დღესაც მოქმედებს. ისინი გაწერილია „ადგილობრივი თვითმმართველობის“ კოდექსის მეთერთმეტე თავში - „მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში“:

1) **დასახლების საერთო კრება** - დასახლების საერთო კრება არის სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომლის მოწვევის ინიცირების უფლება აქვთ:

ა) შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 5%-ს;

ბ) მუნიციპალიტეტის მერს – საკუთარი ინიციატივით ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობით;

გ) საერთო კრების რჩეულს (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 2014).

საერთო კრება უფლებამოსილი რომ იყოს, მას უნდა ესწრებოდეს საერთო კრების წევრთა არანაკლებ 20%. საერთო კრების წევრია შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩეველი. დასახლების საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრებაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. საერთო კრებაზე დგება ოქმი, რომელსაც კრების წარმმართველი პირი მისი გამართვიდან 7 დღის ვადაში წარადგენს მუნიციპალიტეტის მერიაში. თავის მხრივ, მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია მიღებიდან 10 დღის ვადაში ოქმი საჯაროდ გამოაქვეყნოს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან განიხილონ საერთო კრების გადაწყვეტილება და განხილვის შედეგების შესახებ დასაბუთებული პასუხი განსაზღვრულ ვადებში აცნობონ საერთო კრების შესაბამის წევრებს ან საერთო კრების რჩეულს (ლოსაბერიძე, კანდელაკი, აბულაძე, & კონჯარია, 2016).

ოპტიმალური გამოყენების პირობებში, მოქალაქეთა მონაწილეობის ეს ფორმა არნშტეინის „სამოქალაქო მონაწილეობის კიბის“ სიმბოლური მონაწილეობის ყველაზე მაღალ საფეხურს, დამშვიდებას შეესაბამება. უფრო ქვედა საფეხურებისგან განსხვავებით, ამ დონეზე მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ გარკვეული გავლენა მოახდინონ მოვლენათა მსვლელობაზე. ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია განიხილოს დასახლების საერთო კრების ოქმებში მითითებული საკითხები, იმსჯელონ მათ შესახებ, მიიღონ გადაწყვეტილება და აცნობონ საერთო კრების შესაბამის წევრებს ან საერთო კრების რჩეულს. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ორგანიზების მაღალი დონით გამოირჩევა და კარგად არის გათვითცნობიერებული დასახლების საერთო კრების ფუნქციონირებაში, მაშინ მონაწილეობის ამ მექანიზმს შეუძლია დიდი როლი ითამაშოს თვითმმართველი ერთეულის განვითარებაში, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ მოქალაქეთა მონაწილეობის ამ ფორმას რეკომენდაციის ხასიათი აქვს და საბოლოო გადაწყვეტილებას ადგილობრივი ხელისუფლება იღებს, ეს მექანიზმი ვერასდროს მიაღწევს არნშტეინის კიბის მოქალაქეთა ძალაუფლების ჯგუფის საფეხურებს.

2) **პეტიცია** - პეტიციის წარდგენის უფლება აქვთ შემდეგ სუბიექტებს:

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს;

2. საერთო კრებას.

მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია პეტიციის წარდგენის უფლება მიანიჭოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა უფრო ნაკლებ რაოდენობას (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 2014).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისია ან სამუშაო ჯგუფი, პეტიციის მიღებიდან 15 დღის ვადაში, განიხილავს მას და იღებს გადაწყვეტილებას, რომელსაც აცნობებს მიღებიდან 5 დღის ვადაში პეტიციის წარმდგენ სუბიექტს (ლოსაბერიძე, კანდელაკი, აბულაძე, & კონჯარია, 2016).

ოპტიმალური გამოყენების პირობებში, მოქალაქეთა მონაწილეობის ეს ფორმა არნშტეინის „სამოქალაქო მონაწილეობის კიბის“ სიმბოლური მონაწილეობის ყველაზე მაღალ საფეხურს, დამშვიდებას შეესაბამება. უფრო ქვედა საფეხურებისგან განსხვავებით, ამ დონეზე მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ გარკვეული გავლენა მოახდინონ მოვლენათა მსვლელობაზე. პეტიციის წარდგენის შემთხვევაში, საკრებულო ვალდებულია განიხილოს და შეისწავლოს პეტიცია, მიიღოს მის შესახებ გადაწყვეტილება და აცნობოს ის პეტიციის წარმდგენ სუბიექტს. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ორგანიზების მაღალი დონით გამოირჩევა და კარგად არის გათვითცნობიერებული პეტიციის ფუნქციონირებაში, მაშინ მონაწილეობის ამ მექანიზმს შეუძლია დიდი როლი ითამაშოს თვითმმართველი ერთეულის განვითარებაში, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ მოქალაქეთა მონაწილეობის ამ ფორმას რეკომენდაციის ხასიათი აქვს და წარდგენილი პეტიციების მიზანშეწონილობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულო იღებს, ეს მექანიზმი ვერასდროს მიაღწევს არნშტეინის კიბის მოქალაქეთა ძალაუფლების ჯგუფის საფეხურებს.

3) **სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო** - ეს არის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი. საბჭოს უფლებამოსილებები და მისი საქმიანობის წესი განისაზღვრება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმით (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 2014).

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირებისათვის დაკავშირებით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მუნიციპალიტეტებს სამ მნიშვნელოვან მოთხოვნას უყენებს:

1) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 10 წევრით.
2) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილი არ არის, თუ დარღვეულია ამ პუნქტის მოთხოვნა.
3) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო იკრიბება არანაკლებ 3 თვეში ერთხელ (ლოსაბერიძე, კანდელაკი, აბულაძე, & კონჯარია, 2016).

ოპტიმალური გამოყენების პირობებში, სხდომების ხშირად გამართვისა და მოქალაქეების მხრიდან მუნიციპალიტეტის განვითარების პროცესში აქტიურად ჩართვის სურვილის არსებობის შემთხვევაში, მონაწილეობის ეს ფორმა არნშტეინის „სამოქალაქო მონაწილეობის კიბის“ სიმბოლური მონაწილეობის ყველაზე მაღალ საფეხურს, დამშვიდებას შეესაბამება, რადგან უფრო ქვედა საფეხურებისგან განსხვავებით, ამ დონეზე მოქალაქეები სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობენ და შესაძლებლობა აქვთ გარკვეული გავლენა მაოხდინონ მსვლელობებზე. ისინი აწარმოებენ კონსულტაციებს, გეგმავენ პროექტებს და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოც, თავისი არსით, სწორედ სათათბირო ორგანოა, რომელსაც საკონსულტაციო ფუნქცია აქვს და რეკომენდაციებს სთავაზობს მუნიციპალიტეტის მერს, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული რეკომენდაციათა კანონიერებისა და მიზანშეწონილობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად მერი იღებს, საზოგადოების მონაწილეობის ეს ფორმა ვერასდროს მიაღწევს არნშტეინის კიბის მოქალაქეთა ძალაუფლების ჯგუფის საფეხურებს.

4) **მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა** - მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის, აგრეთვე მთავრობის სხდომები საჯაროა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, წინასწარი შეტყობინების ან/და წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს

კომისიის საჯარო სხდომებს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებზე დამსწრე პირებს უფლება აქვთ, წინასწარი ნებართვის გარეშე, მაგრამ მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით დაუსვან შეკითხვები მომხსენებელს და თანამომხსენებელს, გააკეთონ განმარტება და განცხადება, წარადგინონ ინფორმაცია (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 2014).

ოპტიმალური გამოყენების პირობებში, მოქალაქეთა მონაწილეობის ეს ფორმა არნშტეინის „სამოქალაქო მონაწილეობის კიბის“ სიმბოლური მონაწილეობის ჯგუფის შუალედურ საფეხურს, კონსულტირებას შეესაბამება, რადგან უფრო ქვედა საფეხურებისგან განსხვავებით, ამ დონეზე მოქალაქეებს მათთვის მიწოდებული ინფორმაციის შესახებ აზრის გამოთქმის შესაძლებლობა ეძლევათ. ინფორმირებული და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობის შემთხვევაში, მონაწილეობის ეს მექანიზმი საშუალებას იძლება საკრებულოს სხდომებზე დაისვას არაერთი მნიშვნელოვანი და მწვავე შეკითხვა მუნიციპალიტეტში მიმდინარე თუ დაგეგმილი პროექტების შესახებ.

5) **მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა** - მუნიციპალიტეტის მერი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული წესით მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 2014).

ოპტიმალური გამოყენების პირობებში, მოქალაქეთა მონაწილეობის ეს ფორმაც კონსულტირების საფეხურს შეესაბამება, რადგან უფრო ქვედა საფეხურებისგან

განსხვავებით, ამ დონეზე მოქალაქეებს მათთვის მიწოდებული ინფორმაციის შესახებ აზრის გამოთქმის შესაძლებლობა ეძლევათ. ინფორმირებული და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრების მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მონაწილეობის ეს მექანიზმი საშუალებას იძლება დაისვას არაერთი მნიშვნელოვანი და მწვავე შეკითხვა მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრების საქმიანობის შესახებ.

საქართველოს თითოეული მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის აღნიშნული ხუთი ფორმის გარდა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 2014).

2.2 სამოქალაქო ბიუჯეტი - მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი მექანიზმი

ევროპის მასშტაბით, სამოქალაქო ბიუჯეტის, როგორც მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმის ერთ-ერთი წარმატებული მაგალითია პოლონეთის მუნიციპალიტეტების მიერ საკუთარი ბიუჯეტის ნაწილის გამოყოფა მოსახლეობის მიერ მათი უბნების კეთილმოწყობის თაობაზე წამოყენებული იდეების დასაფინანსებლად, რომელთა შერჩევა ხდება კონკურსის საფუძველზე. სწორედ პოლონელი ექსპერტების ჩართვის შედეგად, კავკასიის მასშტაბით პირველად, 2015 წელს, მარნეულის მუნიციპალიტეტში განხორციელდა სამოქალაქო ბიუჯეტის მექანიზმი. საჯარო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 300-ზე მეტმა მოქალაქემ. შედეგად, მათმა ნაწილმა მუნიციპალიტეტს 49 პროექტი წარუდგინა, საიდანაც 34 პროექტის განსახორციელებლად საჭირო ფინანსები - 1,5 მილიონი ლარი მუნიციპალიტეტმა 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყო და ეს პროექტები განახორციელა (ლოსაბერიძე, კანდელაკი, აბულაძე, & კონჯარია, 2016).

სამოქალაქო ბიუჯეტის გამოცდილება 2016 წელს გაუზიარა საქართველოს კიდევ რამდენიმე მუნიციპალიტეტმა, ხოლო თავად მარნეულში პროცესი განმეორდა და

მოსახლეობამ 137 პროექტი წარადგინა, რომელთაგან 50 პროექტი 2017 წლის ბიუჯეტში აისახა (ლოსაბერიძე, კანდელაკი, აბულაძე, & კონჯარია, 2016). 2016 წელს სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების პრაქტიკას შეუერთდა ქალაქ გორის მუნიციპალიტეტიც, ხოლო 2018 წლიდან(გორის მუნიციპალიტეტისა და ქალაქი გორის მუნიციპალიტეტის გაერთიანების შედეგად) აღნიშნული მექანიზმი გავრცელდა გორის მუნიციპალიტეტის სოფლებზეც. 2017 წელს, მარნეულისა და გორის მუნიციპალიტეტების გარდა, სამოქალაქო ბიუჯეტი განხორციელდა საჩხერის, ბორჯომისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებშიც (სამოქალაქო ბიუჯეტი საქართველოში, 2017).

2019 წლის მარტში ცნობილი გახდა, რომ სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების პრაქტიკას შეურთდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტიც. პროექტის ბიუჯეტის ოდენობა 150 000 ლარით განისაზღვრა. პროექტების წარდგენა, მათი შერჩევა და თანხის განკარგვა გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებული ინოვაციური ელექტრონული მექანიზმის საშუალებით მოხდება (თვითმმართველობის პორტალი droa.ge, 2019).

2019 წელს მონაწილეობითი ბიუჯეტის მექანიზმის დანერგვა დაიწყო ქალაქ ბათუმშიც. როგორც მერიაში განმარტავენ, პროექტის მიზანია მოქალაქეთა ჩართულობა საბიუჯეტო პროცესის ნაწილში და მათ საჭიროებებზე დაფუძნებული ბიუჯეტის შემუშავება. მათივე ცნობით, პირველ ეტაპზე პროექტის ბიუჯეტი 120 000 ლარს შეაგდენს. ხოლო, მოქალაქეების მონაწილეობით დაგეგმილი ბიუჯეტის წილი ეტაპობრივად გაიზრდება (მონაწილეობითი ბიუჯეტი 2019, 2019).

თავი III. მოქალაქეთა მონაწილეობა შიდა ქართლის რეგიონში

3.1 გორის მუნიციპალიტეტი

შიდა ქართლის რეგიონი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში და მოიცავს ოთხ მუნიციპალიტეტს: გორს, ქარელს, ხაშურისა და კასპს. გარდა ამისა, მის შემადგენლობაში შედის ერედვის, ქურთისა და თიღვის მუნიციპალიტეტებიც, რომელიც ამჟამად ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

გორი შიდა ქართლის ყველაზე დიდი მუნიციპალიტეტია ფართობითა და მოსახლეობის რაოდენობით. მერიიდან გამოთხოვილი მონაცემების თანახმად, მუნიციპალიტეტის ფართობი 2 327 კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობის რაოდენობა კი 144 000 ადამიანს შეადგენს. სიმჭიდროვე - 62 კაცი 1 კვადრატულ კილომეტრზე.

მერიის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წლების მიხედვით:

- 2015 წელი - 40 339 100 ლარი (მათ შორის, ქალაქი - 20 432 100 და რაიონი - 19 907 000 ლარი)
- 2016 წელი - 43 838 000 ლარი (მათ შორის, ქალაქი - 20 310 000 ლარი და რაიონი - 23 528 000 ლარი)
- 2017 წელი - 44 118 100 ლარი (მათ შორის, ქალაქი - 21 199 800 ლარი და რაიონი - 22 918 300 ლარი)
- 2018 წელი - 45 788 900 ლარი
- 2019 წელი - 55 151 200 ლარი

დასახლების საერთო კრება - მერიიდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის ივლისიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით, ამომრჩეველთა არანაკლებ 5%-ის მიერ დასახლების საერთო კრების ინიცირება მოხდა ორჯერ. ორივე შემთხვევაში კრება

წარმატებით ჩატარდა და მობილიზებული იყო ამომრჩეველთა 20%-ზე მეტი. გარდა ამისა, მერიის წარმომადგენელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ უშუალოდ მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით გაიმართა 66 საერთო კრება. კერძოდ, ისინი „სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში მოსახლეობასთან გამართული შეხვედრებია, რომელმაც დასახლების საერთო კრების სახე მიიღო.

მერიის წარმომადგენლის განცხადებით, დასახლების საერთო კრება მუნიციპალიტეტში არსებულ რეალობას კარგად მიესადაგება, რადგან მოსახლეობის ცნობიერება აღარ არის ისეთი დაბალი, როგორც გასულ წლებში. გაზრდილია გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის სურვილიც. მოქალაქეები აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს, რაზე დაყრდნობითაც შესაძლებელია მათთვის სასიკეთო გადაწყვეტილების მიღება.

პეტიცია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის ივლისიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით, პეტიციის წარდგენის მცდელობა დაფიქსირდა მხოლოდ ერთხელ, ელექტრონული სისტემით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლების მიერ.

მერიის წარმომადგენლის მტკიცებით, აღნიშნული პეტიცია 2016 წელს წარადგინეს და საკითხი ეხებოდა ისტორიული ციხესიმაგრის, გორის ციხის გადმოცემას კულტურის სამინისტროს ბალანსიდან გორის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო - მერიიდან გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ მუნიციპალიტეტების გაერთიანების შემდეგ, 2018 წლის 9 ივლისს ძალაში შევიდა გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება #3838 „გორის მუნიციპალიტეტის სათათბირო ორგანოს(სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს) შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“. აქედან მოყოლებული საბჭომ ჩაატარა სულ 3 შეხვედრა, სამივე 2018 წელს: 27 ივლისი, 3 აგვისტო, 16 ნოემბერი.

საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი. შემადგენლობა 14 პიროვნებისაგან შედგება, მათგან 10 მოქალაქეა, 4 კი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის

წარმომადგენელი. როგორც ერთ-ერთი წევრმა განაცხადა, საბჭოს წევრი მოქალაქეების ფუნქცია საზოგადოების ინტერესების მიწოდებაა საბჭოს დანარჩენი წევრებისათვის, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების როლი საბჭოს პიარი და მატერიალურ-ტექნიკური დახმარებაა. საბჭოში 8 მამაკაცი და 6 ქალბატონია.

როგორც აღნიშნული ინფორმაციიდან ჩანს, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დაცული აქვს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ სამი მოთხოვნიდან ორი - საბჭოს წევრთა მინიმალურ რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნა და ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნა. მეორე მხრივ, საბჭო არღვევს სხდომათა გამართვის ვადებთან დაკავშირებულ მოთხოვნას, რომლის თანახმად, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო იკრიბება არანაკლებ 3 თვეში ერთხელ. ამის საპირისპიროდ, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო 2019 წელს საერთოდ არ შეკრებილა.

გორის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრის თქმით, ყველაზე ხშირად განხილვადი საკითხები საბიუჯეტო პროცესები და ინტრასტრუქტურული საკითხებია, მათ შორის პარკინგი, ტრანსპორტირება, ქალაქის იერსახე. რესპონდენტი იხსენებს, რომ ყოფილა შემთხვევები, როცა მუნიციპალიტეტის მერსა და საბჭოს წევრებს განსხვავებული პოზიციების ჰქონიათ. აღნიშნული აზრთა სხვადასხვაობა საბჭოს სასიკეთოდ გადაწვეყილა.

საბჭოს წევრის შეფასებით, მოქალაქეთა მონაწილეობის თვალსაზრისით, აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანობა დაბალია და ეს პირდაპირ არის დამოკიდებული წევრების აქტიურობასა და პირად მოტივაციაზე, რომელიც ასევე ძალიან დაბალია. რესპონდენტი საუბრობს საზოგადოების მხრიდან უნდობლობასა და ნიჰილისტურ დამოკიდებულებაზეც. მისი თქმით, მოსახლეობაში არის შეხედულება, რომ მერის სათათბირო ოთახში შეკრებილი ადამიანები მხოლოდ საუბრით შემოიფარგლებიან და რეალურად არ აკეთებენ საქმეს.

არსებული სიტუაციის გამოსასწორებლად, რესპონდენტის აზრით, საჭიროა საბჭოს შემადგენლობაში უფრო მეტი აქტიური წევრის ყოფნა, დახვეწილი და კარგად დამუშავებული დებულება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

აღსანიშნავია, რომ გორი არის ერთადერთი მუნიციპალიტეტი, რომლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გააჩნია პირადი გვერდი „ფეისბუკზე". თანამედროვე პერიოდის გათვალისწინებით, აღნიშნული ფაქტი საკმაოდ მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ინფორმირებულობის კუთხით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა - როგორც გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზის შედეგად ირკვევა, იმის გამო, რომ სხდომებზე დასწრება თავისუფალია, 2015 წლის ივლისიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით ჩატარებულ სხდომებზე მოქალაქეთა დასწრების რეგისტრაცია არ მომხდარა. სხდომათა თარიღების გავრცელება ადგილობრივ მოსახლეობაში სოციალური ქსელის მეშვეობით ხდება. გარდა ამისა, ინფორმაცია ქვეყნდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე და განცხადება ქვეყნდება საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე.

მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა - როგორც მერიიდან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, 2015 წლის ივლისიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით, მუნიციპალიტეტის მერმა 10-ჯერ განახორციელა გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენა, რაც შიდა ქართლის მასშტაბით, დროის აღნიშნულ შუალედში, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.[1] შესაბამისად, მერი იცავს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მოთხოვნას, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მოაწყოს შეხვედრა მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან და წარუდგინოს მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

[1] ამ სტატისტიკურ მონაცემში, ორი მუნიციპალიტეტის გაერთიანებამდე, იგულისხმება მხოლოდ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სულ 40 წევრია, თუმცა საკრებულოს წევრების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების წარდგენა მოსახლეობის წინაშე არ ყოფილა. აღნიშნული ინფორმაციის მიხედვით ირკვევა, რომ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები არღვევენ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნას, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მოაწყოს შეხვედრა მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან და წარუდგინოს მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

გორის მუნიციპალიტეტში მერიისა და საკრებულოს საქმიანობის, მათ შორის ანგარიშების წარდგენის, საკრებულოს სხდომებში მონაწილეობისა და სხვა მნიშვნელოვანი აქტივობების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ვებ-გვერდების, სოციალური ქსელის(„ფეისბუკი“) და იმ დროისათვის მოქმედი ყველა მედია საშუალების მეშვეობით. გარდა ამისა, ინფორმაცია ქვეყნება მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე.

მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები - გორი ერთადერთი მუნიციპალიტეტია შიდა ქართლის მხარეში, რომელიც უშუალოდ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრული მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების გარდა სხვა ფორმასაც იყენებს - „სამოქალაქო ბიუჯეტს“. 2016 წლიდან, საწყის ეტაპზე, აღნიშნული მექანიზმი მხოლოდ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში დაინერგა, ხოლო 2018 წლიდან, გორის მუნიციპალიტეტისა და ქალაქი გორის მუნიციპალიტეტის გაერთიანების შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის სოფლებშიც ხორციელდება.

მერიის წარმომადგენელი აცხადებს, რომ სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში, ყველაზე ხშირად მიმდინარეობს არსებული სკვერების რეაბილიტაცია, გზის პრობლემური მონაკვეთების შეკეთება და გარე განათების მოწყობა. რესპონდენტის მტკიცებით, გორის

მუნიციპალიტეტი ნამდვილად მზადაა სამოქალაქო ბიუჯეტის განსახორციელებლად და ამას რამდენიმე წარმატებული წელიც ადასტურებს.

რაც შეეხება სამოქალაქო ბიუჯეტის ეტაპებსა და პროცედურებს, როგორც მერიიდან მოპოვებული ინფორმაციით ირკვევა, მერის ბრძანების საფუძველზე შექმნილია სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო, რომელშიც წარმოდგენილნი არიან როგორც მერიის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები, ასევე საკრებულოს წევრები. სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს ფუნქციას წარმოადგენს მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების ტექნიკური ანალიზი, პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მეირ შერჩეული პროექტების განხორციელებაზე მონიტორინგი და ჩატარებული სამუშაოთა ეფექტიანობისა და ხარისხის საბოლოო შეფასება. გარდა ამისა, პროგრამის ეფექტიან განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა სხვა საქმიანობა.

მერიიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, პროექტის ფარგლებში, იქმნება წარმომადგენლობითი საბჭოც, რომელიც შედგება თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი დასახლებებიდან შერჩეული მინიმუმ ორი მოქალაქისაგან. საბჭოს ხელმძღვანელობს თამვჯდომარე. საბჭო ახორციელებს წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების შინაარსობრივ ანალიზს და შერჩეულ საპროექტო ინიციატივებს წარადგენს სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოში, მონიტორინგს უწევს პროექტის ფარგლებში შერჩეული პროექტების განხორციელებას. გარდა ამისა, მის ფუნქციაში შედის ყველა ის საქმიანობა, რომელიც ორიენტირებულია პროგრამის ეფექტიან მუშაობაზე.

როგორც მერიიდან მოპოვებული ინფორმაციით ირკვევა, შესაბამისი გამოცდილებიდან გამომდინარე და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით, „სამოქალაქო ბიუჯეტის“ ეტაპები და ვადები იცვლება ყოველწლიურად. 2019 წელს პროექტი ხორციელდება 6 ეტაპად:

I ეტაპი - მიმდინარე წლის 15 აპრილიდან 31 მაისის ჩათვლით - თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, რომლის მიზანია

მოქალაქეთათვის ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდება. აქ განიხილება „სამოქალაქო ბიუჯეტის“ პროგრამის არსი, მისი შესაძლებლობები და საინიციატივო წინადადების წარდგენის წესები.

II ეტაპი - მიმდინარე წლის 3 ივნისიდან 28 ივნისის ჩათვლით - ადმინისტრაციულ ერთეულებში იმართება სამუშაო შეხვედრები დაინტერესებული მოქალაქეებისათვის საპროექტო ინიციატივების სააპლიკაციო ფორმის შევსებისათვის.

III ეტაპი - მიმდინარე წლის 1 ივლისიდან 26 ივლისის ჩათვლით - მოქალაქეები ავსებენ სააპლიკაციო ფორმას და აგზავნიან საპროექტო ინიციატივებს.

IV ეტაპი - მიმდინარე წლის 5 აგვისტოდან 23 აგვისტომდე - მიღებული საპროექტო ინიციატივები განსახილველად წარედგინება სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს, რომელიც აღნიშნულ ინიციატივებს აფასებს რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით: სამართლებრივი, ტექნიკური და ფინანსური ასპექტები. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროექტის ვადებსა და იმას, თუ რამდენად ემსახურება მისი განხორციელება საზოგადოებრივ ინტერესებს. თითოეული საპროექტო ინიციატივის განხილვისას ტარდება კენჭისყრა და დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა საბჭოს ხმათა არანაკლებ 50% +1.

V ეტაპი - მიმდინარე წლის 26 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე - წინა ეტაპზე მოწონებული საპროექტო ინიციატივებიდან, წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით, შეირჩევა გამარჯვებული პროექტები, რომელიც წარედგინება გორის მუნიციპალიტეტის მერიას შემდგომი წლის მუნიციპალური ბიუჯეტის პროექტში ასახვის მოთხოვნის მიზნით.

VI ეტაპი - მიმდინარე წლის 21 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე - გორის მუნიციპალიტეტის მერის მიერ სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს დაევალება გამარჯვებული პროექტების სტატისტიკური აღირცხვის მომზადება, ხოლო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს აღნიშნული პროექტების მომავალი წლის დასაგეგმ ბიუჯეტში გათვალისწინება.

მერიის ინფორმაციით, „სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ჯამური ღირებულება წლების მიხედვით:

- 2016 წელს 2017 წლისათვის საპროექტო ინიციატივების ჯამური ღირებულება შეადგენდა 827 680 ლარს;
- 2017 წელს 2018 წლისათვის საპროექტო ინიციატივების ჯამური ღირებულება შეადგენდა 273 920 ლარს;
- 2018 წელს 2019 წლისათვის საპროექტო ინიციატივების ჯამური ღირებულება შეადგენდა 2 800 000 ლარს.

ინიცირებული პროექტების რაოდენობა წლების მიხედვით:

- 2016 წელს მოქალაქეების მხრიდან მოხდა 32 საპორექტო ინიციატივის ინიცირება;
- 2017 წელს მოქალაქეების მხრიდან მოხდა 71 საპორექტო ინიციატივის ინიცირება;
- 2018 წელს მოქალაქეების მხრიდან მოხდა 167 საპორექტო ინიციატივის ინიცირება.

განხორციელებული პროექტების რაოდენობა წლების მიხედვით:

- 2016 წელს მოქალაქეების მხრიდან ინიცირებული პროექტებიდან 2017 წელს განხორციელდა 14 პროექტი;
- 2017 წელს მოქალაქეების მხრიდან ინიცირებული პროექტებიდან 2018 წელს განხორციელდა 12 პროექტი;
- 2018 წელს მოქალაქეების მხრიდან ინიცირებული პროექტებიდან 2019 წელს ხორციელდება 93 პროექტი.

3.2 ქარელის მუნიციპალიტეტი

მერიიდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ქარელის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 687,9 კვადრატულ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა 55 285 ადამიანია. სიმჭიდროვე - 80 კაცი 1 კვადარტულ კილომეტრზე.

მერიის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წლების მიხედვით:

- 2015 წელი - 16 215 902 ლარი
- 2016 წელი - 14 090 349 ლარი
- 2017 წელი - 13 391 875 ლარი
- 2018 წელი - 14 409 803 ლარი
- 2019 წელი - 18 659 895 ლარი

დასახლების საერთო კრება - მერიიდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის ივლისიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით, ქარელის მუნიციპალიტეტში დასახლების საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიტიატივა არ დარეგისტრირებულა.

მოქალაქეთა მონაწილეობის აღნიშნული მექანიზმის გამოუყენებლობის მთავარ მიზეზად ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი იმ რთულ პროცედურას ასახელებს, რომელიც დასახლების საერთო კრების ჩატარებასთან არის დაკავშირებული. მისი თქმით, მრავალრიცხოვან დასახლებებში მოქალაქეთა ზღვრული რაოდენობის შეკრება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, რესპონდენტი ფიქრობს, რომ მიზანშეწონილია კანონმდებლობაში განხორციელდეს ცვლილება, რათა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოსახლეობის ჩართულობა უფრო მოქნილი გახდეს.

პეტიცია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის ივლისიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით საკრებულოში პეტიცია წარდგენილ იქნა მხოლოდ ერთხელ - 2017 წლის 29 მარტს.

მერიის წარმომადგენლის თქმით, პეტიცია მომზადდა სოფელ ბრეძის მოსახლეობის მიერ ნაგვის ურნების დამატებასთან დაკავშირებით. აღნიშნული პეტიცია საკრებულომ მიზანშეწონილად მიიჩნია და აისახა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო - მერიიდან გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით, ქარელის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შეიქმნა 2015 წლის 7 სექტემბერს, ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის #865 ბრძანების საფუძველზე.

საბჭო შედგება 11 წევრისაგან. მათ შორის 2 მოქალაქეა, 3 პედაგოგი, 3 მეწარმე, 2 ექიმი და 1 ადამიანი კი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელია. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი. 11 წევრიდან 6 მამაკაცია, ხოლო 5 ქალბატონი. აღნიშნული ინფორმაციით ირკვევა, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო აკმაყოფილებს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ორ მოთხოვნას - საბჭოს წევრთა მინიმალურ რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნას და ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნას.

ქარელის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ, შექმნიდან დღიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით, ჩაატარა 13 სხდომა. მერიიდან მოწოდებულ ინფორმაციაში არ ჩანს სხდომათა ჩატარების კონკრეტული თაღირები. შესაბამისად, შეუძლებელია დადგინდეს, იცავს თუ არა საბჭო „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილ სხდომათა გამართვის ვადებთან დაკავშირებულ მოთხოვნას თუმცა, აღსანიშნავია, რომ ქარელის მუნიციპალიტეტში, საპარლამენტო ცვლილებათა დამტკიცების შემდეგ, ერთ-ერთმა პირველებმა, იმავე წლის სექტემბერში შექმნეს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო და 2019 წლის მარტის მდგომარეობით, ჩატარებული სხდომათა რაოდენობით შიდა ქართლის მხარეში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ.

ქარელის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრთან ჩაწერილი ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ ყველაზე ხშირად საბჭო განიხილავს ინფრასტრუქტურულ პროექტებთან, სივრცით დაგეგმარებასთან, გეოგრაფიული ობიექტების სახელდებასთან და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებს. რესპონდენტის მტკიცებით, საბჭოს დაარსებამ მოქალაქეთა ჩართულობაზე დადებითი გავლენა მოახდინა. დღეს მოსახლეობა უფრო მეტად არის ინფორმირებული მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტების შესახებ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა - როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოდან გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზის შედეგად ირკვევა, 2015 წლის აგვისტოს თვეში ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ჩაატარა მოსახლეობის გამოკითხვა გარე ვაჭრობის რეგულირების წესების დადგენასთან დაკავშირებით. კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე მონაწილეობა მიიღებს გარე მოვაჭრეებმა. ამ ერთი შემთხვევის გარდა, 2015 წლის ივლისიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებში მოქალაქეებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა - როგორც მერიიდან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, ქარელის მუნიციპალიტეტის მერი გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს მოსახლეობის წინაშე წარადგენს ყოველწლიურად, წელიწადში ერთხელ. შესაბამისად, 2015 წლის ივლისიდან 2019 წლის ჩათვლით, მერმა სულ 4-ჯერ წარადგინა ანგარიში 2015, 2016, 2017 და 2018 წლებში. შესაბამისად, მერი იცავს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნას, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მოაწყოს შეხვედრა მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან და წარუდგინოს მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სულ 33 წევრია. საკრებულოს წევრების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენის სტატისტიკა წლების მიხედვით ასეთია:

- 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა 17 წევრმა;
- 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა 29 წევრმა;
- 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა 16 წევრმა;
- 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა 31 წევრმა.

აღნიშნული ინფორმაციის მიხედვით ირკვევა, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების გარკვეული რაოდენობა არღვევს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნას, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მოაწყოს შეხვედრა მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან და წარუდგინოს მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

ქარელის მუნიციპალიტეტში მერიისა და საკრებულოს საქმიანობის, მათ შორის ანგარიშების წარდგენის, საკრებულოს სხდომებში მონაწილეობისა და სხვა მნიშვნელოვანი აქტივობების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება სოციალური ქსელისა(„ფეისბუკი“) და მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ვებ-გვერდების მეშვეობით. გარდა ამისა, ინფორმაცია ქვეყნდება დასახლებულ პუნქტებში განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე.

მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები - ქარელის მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები არ გამოიყენება.

3.3 ხაშურის მუნიციპალიტეტი

მერიიდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ხაშურის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 585,2 კვადრატულ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა 52 603 ადამიანია. ხაშური

ყველაზე მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტია შიდა ქართლის მხარეში. სიმჭიდროვე - 90 კაცი 1 კვადრატულ კილომეტრზე.

მერიის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წლების მიხედვით:

- 2015 წელი - 13 888 300 ლარი
- 2016 წელი - 15 481 300 ლარი
- 2017 წელი - 14 598 100 ლარი
- 2018 წელი - 15 736 400 ლარი
- 2019 წელი - 16 506 700 ლარი

დასახლების საერთო კრება - მერიიდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის ივლისიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით, ხაშურის მუნიციპალიტეტში დასახლების საერთო კრების მოწვევის შესახებ სულ 67 ინიციატივა დარეგისტრირდა.

დარეგისტრირებული ინიციატივებიდან მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიცირებულ იქნა 60 ინიციატივა. ყველა კრება წარმატებით ჩატარდა.

დარეგისტრირებული ინიციატივებიდან კონკრეტულ დასახლებებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 5%-ის მიერ ინიცირებული იყო 7 ინიციატივა. მათგან 5 კრება წარმატებით ჩატარდა და მოხერხდა რეგისტრირებულ ამომრჩეველთა შესაბამისი რაოდენობის (20%) მობილიზება. დანარჩენ ორ შემთხვევაში აღნიშნული რაოდენობის მობილიზება ვერ მოხერხდა და კრება ვერ შედგა, თუმცა აღნიშნულ ორ დასახლებაში, მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, გაიმართა მოსახლეობასთან კონსულტაცია.

მერიის წარმომადგენლის განცხადებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კრებების უმრავლესობა ინფრასტრუქტურულ საკითხებს ეხებოდა. რესპონდენტის თქმით, აღნიშნული მექანიზმის ოპტიმალურად ფუნქციონირებას ერთი მნიშვნელოვანი

გარემოება აფერხებს. კერძოდ, მას მიაჩნია, რომ კრების ლეგიტიმაციისათვის საჭირო 20% ბევრია და ამის გამო კრებათა უმრავლესობა პატარა დასახლებებში იმართება, სადაც მოსახლეობის რაოდენობა ცოტაა და დამსწრეთა მობილიზება შედარებით მარტივია. აღნიშნული პრობლემის გამო დიდ დასახლებებში კრებების ჩატარება ძალიან რთულია.

პეტიცია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის ივლისიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიცია არ დარეგისტრირებულა.

მერიის წარმომადგენელს მოსაზრებით, ეს მექანიზმი ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაწყვეტად გამოიყენება და ის ფაქტი, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტში პეტიცია არ დარეგისტრირებულა არ არის საგანგაშო. მისი მტკიცებით, თუ მოსახლეობა დაინახავს, რომ სერიოზული პრობლემა აქვს და იგრძნობს, რომ ამ პრობლემას თავს ვერ ართმევს მუნიციპალიტეტის მმართველი ორგანოები, მაშინ შესაძლოა ვინმემ დაარეგისტრიროს პეტიცია საკრებულოში.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო - მერიიდან გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით, ხაშურის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შეიქმნა 2018 წლის 7 მაისს და შექმნის დღიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით, სულ ჩაატარა 2 სხდომა: 2018 წლის 1 ივნისს და 2018 წლის 4 დეკემბერს.

საბჭო შედგება 10 წევრისაგან, მათგან 6 მამაკაცია და 4 ქალბატონი. საბჭოს შემადგენლობაში არიან განათლების, კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და მოქალაქე.

აღნიშნული ინფორმაციის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო აკმაყოფილებს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ორ მოთხოვნას - საბჭოს წევრთა მინიმალურ რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნას და ერთი სქესის წარმომადგენელთა

რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნას. მეორე მხრივ, საბჭო არღვევს კოდექსით დადგენილ სხდომათა გამართვის ვადებთან დაკავშირებულ მოთხოვნას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრის განცხადებით, საბჭოს სხდომებზე ძირითადად ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებული საკითხები განიხილება.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა - მოქალაქეთა მონაწილეობის კონკრეტული სტატისტიკა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არ მოუწოდებია, თუმცა მათ წერილში ახსნილია, რომ საკრებულოსა და კომისიის სხდომების ჩატარების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე და საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე.

მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა - როგორც მერიიდან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს მოსახლეობის წინაშე წარადგენს ყოველწლიურად, წელიწადში ერთხელ. შესაბამისად, 2015 წლის ივლისიდან 2019 წლის ჩათვლით, მერმა სულ 4-ჯერ წარადგინა ანგარიში 2015, 2016, 2017 და 2018 წლებში. შესაბამისად, მერი იცავს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნას, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მოაწყოს შეხვედრა მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან და წარუდგინოს მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სულ 31 წევრია. საკრებულოს წევრების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენის სტატისტიკა წლების მიხედვით ასეთია:

- 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა 22 წევრმა
- 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა 20 წევრმა;

- 2017 წელი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ამ წლის სტატისტიკა არ მოუწოდებია;
- 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა 28 წევრმა.

აღნიშნული ინფორმაციის მიხედვით ირკვევა, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების გარკვეული რაოდენობა არღვევს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნას, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მოაწყოს შეხვედრა მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან და წარუდგინოს მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისათვის ხდება მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდისა და „ფეისბუკის“ ოფიციალური გვერდის საშუალებით. რაც შეეხება ინფორმაციას საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე, განცხადება საკრებულოს შესაბამისი წევრის, თარიღისა და ადგილმდებარეობის მითითებით ქვეყნდება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვით.

მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები - ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები არ გამოიყენება.

3.4 კასპის მუნიციპალიტეტი

მერიიდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, კასპის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 803,2 კვადრატულ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა 43 771 ადამიანია. კასპი ყველაზე მეჩხრად დასახლებული მუნიციპალიტეტია შიდა ქართლის მხარეში. სიმჭიდროვე - 54 კაცი 1 კვადრატულ კილომეტრზე.

მერიის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წლების მიხედვით:

- 2015 წელი - 15 765 800 ლარი

- 2016 წელი - 15 768 500 ლარი
- 2017 წელი - 14 292 600 ლარი
- 2018 წელი - 16 659 700 ლარი
- 2019 წელი - 18 894 500 ლარი

დასახლების საერთო კრება - მერიიდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით, კასპის მუნიციპალიტეტში ინიცირებულ იქნა 325 ინიციატივა დასახლების საერთო კრების მოწვევის შესახებ. თითოეულის შემთხვევაში კრება წარმატებით ჩატარდა. დროის აღნიშნულ პერიოდში, ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია შიდა ქართლის მხარეში, თუმცა საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მუნიციპალიტეტის მერიას არ მოუწოდებია ოქმები და დამატებითი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ კონკრეტულად რამდენი კრება გაიმართა უშუალოდ ამომრჩეველთა ინიციატივით. შესაბასიმად, შეუძლებელია დადგინეს რა როლი ჰქონდა მოსახლეობას აღნიშნული 325 კრების მოწვევის პროცესში.

პეტიცია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის ივლისიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიცია არ დარეგისტრირებულა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო - მერიიდან გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით, კასპის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შეიქმნა 2016 წლის 4 მარტს, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის #482 ბრძანებით. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი.

საბჭო შედგება 22 წევრისაგან, მათ შორის 17 მამაკაცია და 5 ქალბატონი. საბჭოს შემადგენლობაში არის 10 მეწარმე, 2 ექიმი, 6 პედაგოგი, 1 ფერმერი, 2 საჯარო მოხელე და 1 მოქალაქე.

მუნიციპალიტეტის მერიას არ მოუწოდებიან სხდომების გამართვის თარიღები და რაოდენობა, შესაბამისად, შეუძლებელია დადგინდეს არღვევს თუ იცავს საბჭო „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნას სხდომათა გამართვის ვადებთან დაკავშირებით, თუმცა არსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ საბჭო არღვევს კოდექსით განსაზღვრულ ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნას, რომლის თანახმად, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მეორე მხრივ, საბჭო იცავს კოდექსით განსაზღვრულ წევრთა მინიმალურ რაოდენობასთან დაკავშირებულ მოთხოვნას.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა - საკრებულოდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის ივლისიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და საკრებულოს კომისიების სხდომებში მონაწილეობა მიიღო სულ 80 მოქალაქემ.

მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა - როგორც მერიიდან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, 2015 წლის ივლისიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით, კასპის მუნიციპალიტეტის მერმა გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარადგინა 4-ჯერ: 2015, 2016, 2017 და 2018 წლებში, წელიწადში ერთხელ. შესაბამისად, მერი იცავს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნას, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მოაწყოს შეხვედრა მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან და წარუდგინოს მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სულ 34 წევრია, ხოლო საკრებულოს წევრების მიერ ინფორმაციის წარდგენა ხდება წელიწადში ერთხელ, თუმცა საკრებულოს არ მოუწოდებია შესაბამისი სტატისტიკა წლების მიხედვით. აქედან გამომდინარე,

შეუძლებელია დადგინდეს იცავენ თუ არა კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნას, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მოაწყოს შეხვედრა მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან და წარუდგინოს მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისათვის ხდება მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდისა და „ფეისბუკის“ ოფიციალური გვერდის საშუალებით. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება შერჩევითი სატელეფონო ზარებიც. ადგილობრივ მოსახლეობაში საკრებულოს სხდომათა თარიღების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ხდება საკრებულოს შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკლური განცხადებით.

მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები - კასპის მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები არ გამოიყენება.

3.5 ჩატარებული ინტერვიუებისა და მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები

კვლევის პროცესში, ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის(დანართი 10) მეშვეობით, გამოიკითხა 500 ადამიანი. რესპონდენტთა უმეტესობა(41%) 26-40 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება. რაც შეეხება განათლებას და დასაქმებას, გამოკითხულთა უმეტესობა უმაღლესი განათლების მქონე(57%) და თვითდასაქმებულია(38%).


დიაგრამა #1 - რესპონდენტთა ასაკი
18 წლამდე
19 - 25
26 - 40
41 - 60
61 და ზემოთ
2%
24%
41%
25%
8%


დიაგრამა #2 - რესპონდენტთა განათლება
57%
10%
7%
19%
7%
უმაღლესი
არასრული უმაღლესი
პროფესიული
სრული საშუალო
არასრული საშუალო



მოსახლეობის გამოკითხვის შედეგების თანახმად, შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში საზოგადოების ინფორმირებულობის დონე ძალიან დაბალია. 500 ადამიანიდან მხოლოდ 20-მა დაასახელა სწორად საკუთარი მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტი, რაც პროცენტულად 4%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ხსენებული 20 რესპონდენტიდან 17 გორის, ხოლო 3 ხაშურის მუნიციპალიტეტის მკვიდრია. ქარელისა და კასპის მუნიციპალიტეტებში ამ შეკითხვაზე სწორი პასუხი ვერავინ გასცა. გამოკითხულთა მხოლოდ 47% ასახელებს სწორად საკუთარი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სახელსა და გვარს. ამ მხრივ ყველაზე ცუდი ვითარება კასპის მუნიციპალიტეტშია, სადაც რესპონდენტთა მხოლოდ 20%-მა იცოდა ამ შეკითხვაზე პასუხი, ხოლო ყველაზე კარგი სიტუაცია გორის მუნიციპალიტეტშია, სადაც 58%-მა იცოდა საკრებულოს თავმჯდომარის ვინაობა. უკეთესი მდგომარეობაა მერების შემთხვევაში - რესპონდენტთა 79% სწორად ასახელებს საკუთარი მუნიციპალიტეტის მერის სახელსა და გვარს.



გორის გარდა, შიდა ქართლის ყველა მუნიციპალიტეტში, გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა არასწორად დაასახელა ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებები. საავადმყოფოების მშენებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებად ქარელის მუნიციპალიტეტში 55%-მა, ხაშურში 56%, ხოლო კასპში 67%-მა დაასახელა. ამასთანავე, პენსიის თანხის განსაზღვრა ქარელში 53%-მა, ხაშურში 52%-მა და კასპში 73%-მა მიაკუთვნა ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებას. სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებაა ქარელში რესპონდენტების მხოლოდ 42%-მა დაასახელა, ხაშურსა და კასპში კი თანაბარმა 45%-45%-მა. უკეთესი მდგომარეობაა გორის მუნიციპალიტეტში, სადაც მოსახლეობის ნახევარზე მეტმა იცოდა ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებები. სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა რესპონდენტთა 65%-მა დაასახელა სწორად, ხოლო შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა 77%-მა. აღნიშნულ შეკითხვაზე შესაძლებელი იყო ერთზე მეტი პასუხის დაფიქსირება.



	სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	გარე ვაჭრობის რეგულირება	მოსახლეობის დაზღვევა	პენსიის თანხის განსაზღვრა	საავადმყოფოების მშენებლობა	შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების...
გორი	65%	55%	15%	17%	15%	77%
ქარელი	42%	63%	11%	53%	55%	72%
ხაშური	45%	67%	13%	52%	56%	77%
კასპი	45%	51%	2%	73%	67%	35%

გორის გარდა, შიდა ქართლის ყველა მუნიციპალიტეტში, გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა არასწორად დაასახელა მონაწილეობის ფორმები. ქარელის მუნიციპალიტეტში მხოლოდ 42%-მა დაასახელა მონაწილეობის ფორმად დასახლების საერთო კრება, ხოლო 48%-მა პეტიცია. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა 66% ასეთ ფორმად უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტურ თვითმმართველობებს ასახელებს. ხაშურის მუნიციპალიტეტში მხოლოდ 43% ასახელებს პეტიციას მონაწილეობის ფორმად, ხოლო სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 47%. კასპის მუნიციპალიტეტში რესპონდენტთა 77% მიიჩნევს, რომ საკრებულოს მრგვალი მაგიდან მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმაა. გორის მუნიციპალიტეტი ერთადერთია, სადაც გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა სწორად დაასახელა მონაწილეობის ფორმები. მათ

შორის, 95%-მა ამ შეკითხვაზე მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა დაასახელა, ხოლო 88 %-მა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. აღნიშნულ შეკითხვაზე შესაძლებელი იყო ერთზე მეტი პასუხის დაფიქსირება.

დიაგრამა #6 - რომელია მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები?



	პეტიცია	საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა	მერის და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების...	საცხოვრებელი კორპუსების ამხანაგობა	დასახლების საერთო კრება	სტუდენტების მოხალისეობა	სტუდენტური თვითმმართველობები უნივერსიტეტებში	სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო	საკრებულოს მრგვალი მაგიდა
გორი	54%	88%	95%	12%	72%	2%	14%	88%	10%
ქარელი	48%	56%	59%	23%	42%	2%	66%	44%	13%
ხაშური	43%	64%	67%	21%	66%	5%	54%	47%	11%
კასპი	22%	54%	56%	15%	55%	4%	42%	42%	77%

გამოკითხულთა უმეტესობა მუნიციპალიტეტის მმართველი ორგანოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციას ინტერნეტისა(80%) და ახლობლების(70%) მეშვეობით იღებს. აღნიშნულ შეკითხვაზე შესაძლებელი იყო ერთზე მეტი პასუხის დაფიქსირება.



ინფორმაციის ნაკლებობასთან არის დაკავშირებული ის ფაქტიც, რომ შეკითხვაზე „როგორ შეაფასებთ თქვენს ჩართულობას ადგილობრივ თვითმმართველობაში?“ თავდაპირველად, კითხვარის დასაწყისში, გამოკითხულთა 64%-მა უპასუხა „ჩართული ვარ საშუალო დონეზე“, ხოლო კითხვარის ბოლოს ანალოგიურ შეკითხვაზე გამოკითხულთა მხოლოდ 30%-მა უპასუხა იგივე. აღნიშნული შედეგი მიუთითებს იმაზე, რომ მოქალაქეებმა არ იცოდნენ მონაწილეობის ფორმების არსი, თვლიდნენ, რომ ჩართულნი იყვნენ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში და ასახელებდნენ შესაბამის პასუხსაც, თუმცა მას შემდეგ, რაც მომდევნო კითხვებიდან გამომდინარე მიხვდნენ, თუ რა იგულისხმებოდა მონაწილეობის ფორმებში, პასუხები შეცვალეს და დააფიქსირეს, რომ ნაკლებად არიან ჩართულები.





გამოკითხულთა მხოლოდ 3% აცხადებდა, რომ მონაწილეობა მიუღია საკრებულოს სხდომებში. რაოდენობრივად ეს 15 რესპონდენტია, რომელთა შორის 10 გორის მუნიციპალიტეტის მკვიდრი იყო, 4 ხაშურის და 1 ქარელის. გამოკითხულთა 42% აცხადებდა, რომ მონაწილეობა მიუღია მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის პროცესში, თუმცა ეს პროცენტი, დიდწილად, გორის მუნიციპალიტეტის ხარჯზეა, სადაც რესპონდენტთა 75%-ს მიუღია მონაწილეობა. მსგავსი

სიტუაციაა საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენის პროცესთან დაკავშირებით. რესპონდენტთა 48% აცხადებდა, რომ მონაწილეობა მიუღია, თუმცა ეს პროცენტიც გორის მუნიციპალიტეტის შედეგმა განაპირობა, სადაც 77%-ს მიუღია მონაწილეობა.

გამოკითხვის შედეგების თანახმად, მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა საზოგადოების ნიჰილიზმიც. იმ ადამიანებიდან, ვინც განაცხადა, რომ მონაწილეობა არ მიუღიათ საკრებულოს სხდომებში, მხოლოდ 20%-მა გამოთქვა მომავალში ამის გაკეთების სურვილი. იმათგან, ვისაც მონაწილეობა არ მიუღია მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის პროცესში, მხოლოდ 26%-მა გამოთქვა მომავალში ამის გაკეთების სურვილი. იმ ადამიანებიდან, ვინც განაცხადა, რომ მონაწილეობა არ მიუღიათ საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენის პროცესში, მხოლოდ 16%-მა გამოთქვა მომავალში ამის გაკეთების სურვილი.

ნიჰილისტური დამოკიდებულების გამოვლინებაა ის ფაქტიც, რომ რესპონდენტთა მხოლოდ 22%-ს აქვს მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრობის სურვილი. მათი უმეტესობა საბჭოში ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ადგილობრივი მმართველი ორგანოების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებაა. გამოკითხულთა 57% აცხადებს, რომ ენდობა ადგილობრივ ხელისუფლებას.

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ ჩატარდა 8 ადამიანთან. ყველა რესპონდენტი თანხმდებოდა იმაზე, რომ მოქალაქეთა მონაწილეობა ხელისუფლების განხორციელების პროცესში ძალიან მნიშველოვანია. მათი მტკიცებით, ერთი მხრივ, ეს გამოწვეულია იმით, რომ ადგილობრივმა საზოგადოებამ ყველაზე უკეთ იცის, თუ რა სჭირდება მათ დასახლებას, ხოლო, მეორე მხრივ, მოსახლეობის ჩართულობა ზრდის ანგარიშვალდებულებას და აუმჯობესებს სერვისების მიწოდების ხარისხს.

მოსახლეობის მონაწილეობის მნიშვნელობის პარალელურად, რესპონდენტების დიდი ნაწილი ამტკიცებდა, რომ პრაქტიკაში ეს პროცესი საკმაოდ ნელა მიმდინარეობს და ბევრი ხარვეზი შეინიშნება.

ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი აცხადებდა, რომ იმისათვის, რათა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული პროექტებისა და მიწოდებული სერვისების ხარისხი გაიზარდოს, აუცილებელია მოქალაქეები ესწრებოდნენ საკრებულოს სხდომებს, იცოდნენ რა საკითხებზე მიმდინარეობს დისკუსია და შესთავაზონ მათი ხედვა ამასთან დაკავშირებით. მისი თქმით, შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში, მოქალაქეთა საკრებულოს სხდომებზე დასწრების მაჩვენებელი საგანგაშოდ დაბალია, ხოლო საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენის პროცესი მხოლოდ და მხოლოდ „წარდგენაა წარდგენისთვის“ და მას ქმედითი შედეგები არ აქვს. მსგავსი სიტუაციაა მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზეც. აღნიშნული პიროვნების აზრით, ამ პრობლემის მოსაგვარებლად მუნიციპალიტეტის მმართველი ორგანოების მხრიდან ქმედითი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. მას მაგალითად მოჰყავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ინიციატივა - საკრებულოს თითოეული სხდომის წინ, რამდენიმე დღით ადრე, მოსახლეობას ეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინებები(„სმს“) სხდომათა თარიღისა და განსახილველი საკითხების შესახებ.

ინფორმაციის ნაკლებობას უკავშირებს, რესპონდენტთა ნაწილი, მუნიციპალიტეტებში პეტიციის გამოყენების მინიმალურ მაჩვენებელს. ორივე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი აცხადებს, რომ მონაწილეობის ეს ფორმა საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა საზოგადოებაში დაბალია მისი ცნობადობა. მოქალაქეებს არ აქვთ ინფორმაცია მონაწილეობის ამ ფორმის დადებითი მხარეების შესახებ და არ იციან, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ პეტიციის დახმარებით. ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი თვლის, რომ საჭიროა თვითმმართველმა ერთეულებმა პეტიციის წარდგენის უფლება უფრო დაბალ რაოდენობას მიანიჭონ, რადგან საკმაოდ რთულია

მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა 1%-ის მობილიზება მაშინ, როცა საკითხი ეხება კონკრეტული დასახლების და არა მთლიანად მუნიციპალიტეტის პრობლემას. მისი თქმით, ეს საკითხი საკმაოდ იოლი გადასაჭრელია, რადგან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ამას არ ეწინააღმდეგება.

როგორც სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სამივე წარმომადგენელი აღნიშნავს, ეს მექანიზმი ნამდვილად მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისათვის, თუმცა იქვე ამატებენ, რომ ჯერ-ჯერობით ეფექტიანობა დაბალია. უმეტესწილად, ამას წევრების მოტივაციის ნაკლებობას უკავშირებენ. რესპონდენტების თქმით, საჭიროა საბჭოში მეტი აქტიური წევრი იყოს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები. გარდა ამისა, პრობლემად სახელდება კარგად დამუშავებული დებულების არარსებობა. გამოკითხულთა მტკიცებით, საბჭოს ფუნქციონირების პროცესში მნიშვნელოვანი როლი აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით საბჭოს საქმიანობის პიარისა და მატერიალურ-ტექნიკური დახმარების თვალსაზრისით.

დასახლების საერთო კრებაზე საუბრისას რესპონდენტების მიერ ერთი მნიშველოვანი პრობლემა გამოიკვეთა, რომელიც კრების ჩასატარებლად საჭირო ამომრჩეველთა 20%-ის მობილიზებას ეხება. ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, ქვეყანაში არსებული შიდა მიგრაციის ფონზე ეს პროცენტი საკმაოდ მაღალია. მოქალაქეები სამუშაოდ თბილისში არიან წასულები და საცხოვრებლადაც იქ არიან გადასულები, შესაბამისად, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ ახერხებენ მშობლიურ მუნიციპალიტეტებში ჩამოსვლასა და საკუთარი ხელმოწერის დაფიქსირებას.

რაც შეეხება უშუალოდ არასამთავრობო ორგანიზაციების როლს მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესში, ორივე წარმომადგენელი აცხადებს, რომ პრობლემების იდენტიფიცირების კუთხით მათი როლი ძალიან დიდია და ცდილობენ ამ პროცესში საზოგადოებაც ჩართონ. ისინი სტუმრობენ კონკრეტულ დასახლებებს და ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრების შედეგად გამოყოფენ რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემას, შემდეგ კი ამას მუნიციპალიტეტის მმართველ ორგანოებს აცნობენ.

ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის მტკიცებით, ძირითადი აქცენტი ახალგაზრდების ჩართულობაზე კეთდება. მათ მიზანს წარმოადგენს ერთგვარი სამკუთხედის შექმნა: არასამთავრობო სექტორი-ახალგაზრდები-მუნიციპალიტეტი. მისი აზრით, იმისათვის, რათა მომავალში სიტუაცია გაუმჯობესდეს, ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდების დაახლოება მუნიციპალიტეტთან და ჩართულობა ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელების პროცესში.

ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ჩართულნი არიან გორის მუნიციპალიტეტის „სამოქალაქო ბიუჯეტის“ განხორციელებაშიც. მათი ფუნქცია ინფორმაციის გავრცელებაა საზოგადოებაში, რათა გაიზარდოს ცნობიერების დონე და მოსახლეობას საშუალება მიეცეს ჩაერთოს ამ მნიშვნელოვან პროექტში. რესპონდენტების განცხადებით, „სამოქალაქო ბიუჯეტი“, ზოგადად, ძალიან კარგი პროექტია, რომელიც საზოგადოებას შესაძლებლობას აძლევს ბიუჯეტის გარკვეული ნაწილი მათი საჭიროებების შესაბამისად გამოიყენოს. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული მექანიზმის ერთადერთი ხარვეზი ადმინისტრაციულ ერთეულებზე გამოყოფილი თანხის სიმწირეა. თითოეული ადმინისტრაციული ერთეული რამდენიმე სოფელს აერთიანებს და ამ დასახლებებს, შესაძლოა, განსხვავებული პრობლემები ჰქონდეთ. მაგალითად, ერთს სტადიონის მოწყობა სჭირდება, მეორეს სარიტუალო დარბაზი სურს, მესამეს კი გარე განათება უნდა. შეზღუდული ფინანსური რესურსის გამო, ფაქტობრივად, შეუძლებელია სამივე დასახლების მოთხოვნის დაკმაყოფილება. რესპონდენტის მტკიცებით, მსგავსი სიტუაცია არაერთხელ დაფიქსირდა და ამ პრობლემის მოგვარებასათვის საჭიროა „სამოქალაქო ბიუჯეტის“ თანხის გაზრდა.

3.6 მოქალაქეთა მონაწილეობის შეფასება

როგორც უკვე აღინიშნა, ოპტიმალური გამოყენების პირობებში, დასახლების საერთო კრება არნშტეინის „სამოქალაქო მონაწილეობის კიბის“ სიმბოლური მონაწილეობის ყველაზე მაღალ საფეხურს, დამშვიდებას შეესაბამება, თუმცა კვლევის შედეგად გაირკვა,

რომ, შიდა ქართლის მასშტაბით, მისი ფუნქციონირება ოპტიმალურისაგან ძალიან შორსაა.

2015 წლიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით, ქარელის მუნიციპალიტეტში საერთოდ არ დარეგისტრირებულა დასახლების საერთო კრება, გორში ჩატარებული 68 კრებიდან კი მხოლოდ 2 იყო ინიცირებული უშუალოდ მოქალაქეების მიერ. ხაშურში ჩატარებული 65 კრებიდან მოქალაქეების მიერ ინიცირებული იყო მხოლოდ 5. კასპის მუნიციპალიტეტის მერიიდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით 325 კრება ჩატარდა, თუმცა დაკონკრეტებული არაა რამდენი მათგანი იყო ინიცირებული მოქალაქეთა მიერ. იქიდან გამომდინარე, არაერთი მცდელობის მიუხედავად, ვერ მივიღეთ სიღრმისეული ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კრებათა ასეთ დიდ რაოდენობას განაპირობებს არა კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით ჩატარებული დასახლების საერთო კრებები, არამედ მერისა თუ მერიის წარმომადგენელთა შეხვედრები მოსახლეობასთან, რომელიც გაწერილია, როგორც დასახლების საერთო კრება. შესაბამისად, მოქალაქეთა მონაწილეობის ამ მექანიზმის ეფექტიანობა არის საშუალო.



	გორი	ქარელი	ხაშური	კასპი
გაურკვეველია	0	0	0	325
ამომრჩევლების მიერ ორგანიზებული	2	0	5	0
მერიის მიერ ორგანიზებული	66	0	60	0

ოპტიმალური გამოყენების პირობებში, არნშტეინის „სამოქალაქო მონაწილეობის კიბის“ სიმბოლური მონაწილეობის ყველაზე მაღალ საფეხურს, დამშვიდებას შეესაბამება პეტიციაც, თუმცა როგორც კვლევის შედეგად გაირკვა, შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში მისი გამოყენება მინიმუმამდეა დაყვანილი. ორ მუნიციპალიტში, გორსა და ქარელში, ის მხოლოდ თითო-თითოჯერ გამოიყენეს, ხაშურსა და კასპში კი საერთოდ არ გამოუყენებიათ. შესაბამისად, მონაწილეობის ამ ფორმის ეფექტიანობა არის დაბალი.

ოპტიმალური გამოყენების პირობებში, არნშტეინის „სამოქალაქო მონაწილეობის კიბის“ სიმბოლური მონაწილეობის ყველაზე მაღალ საფეხურს, დამშვიდებას შეესაბამება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოც, თუმცა როგორც უკვე აღინიშნა, მის გამართულ ფუნქციონირებას არაერთი ფაქტორი აფერხებს. ამ პრობლემების პარალელურად, აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოს წევრები არღვევენ ხსენებული მექანიზმის ფუნქცნიონირების კანონდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებსაც. შესაბამისად, მონაწილეობის ამ ფორმის ეფექტიანობა არის საშუალო.

მუნიციპალიტეტი / მოთხოვნა	გორი	ქარელი	ხაშური	კასპი
მინიმალურ რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნა	იცავს	იცავს	იცავს	იცავს
ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნა	იცავს	იცავს	იცავს	არღვევს
სხდომათა გამართვის ვადებთან დაკავშირებული მოთხოვნა	არღვევს	შეუძლებელია დადგენა	არღვევს	შეუძლებელია დადგენა

ოპტიმალური გამოყენების პირობებში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა არნშტეინის „სამოქალაქო მონაწილეობის კიბის“ სიმბოლური მონაწილეობის ჯგუფის შუალედურ საფეხურს, კონსულტირებას შეესაბამება, თუმცა როგორც კვლევის შედეგად გაირკვა, საკრებულოთა სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობა, ფაქტობრივად, არ ხორციელდება. შესაბამისად, ამ ფორმის ეფექტიანობა არის დაბალი.

ოპტიმალური გამოყენების პირობებში, მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მეირ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა არნშტეინის „სამოქალაქო მონაწილეობის კიბის“ სიმბოლური მონაწილეობის ჯგუფის შუალედურ საფეხურს, კონსულტირებას შეესაბამება, თუმცა როგორც კვლევის შედეგად გაირკვა, მუნიციპალიტეტების საკრებულოების წევრების გარკვეული ნაწილი თავს არიდებს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მომზადებას. რაც შეეხება მუნიციპალიტეტების მერებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იცავენ კანონდებლობის მოთხოვნას, მათი ანგარიშების მოსმენის მიმართ მოქალაქეთა დაინტერესება და მონაწილეობა მაინც ძალიან დაბალია. ყოველივე ამის გათვალისწინებით, აღნიშნული ფორმის ეფექტიანობა არის საშუალო.

რაც შეეხება გორის მუნიციპალიტეტის „სამოქალაქო ბიუჯეტს“, ინტერვიუების შედეგად გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებდა, რომ მისი ეფექტიანობა საკმაოდ მაღალია. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მუნიციპალიტეტი ნამდვილად მზად არის აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის და ამას რამდენიმე წარმატებული წელიც ადასტურებს. რესპონდენტების აზრით, „სამოქალაქო ბიუჯეტის“ დანერგვის შემდეგ მოქალაქეთა ცნობიერების დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა, საზოგადოებამ იგრძნო პასუხისმგებლობა.

გამოკითხულთა მოსაზრებით, შიდა ქართლის მუნიციპალიტეტში, მოსახლეობის მონაწილეობის თვალსაზრისით, გორის მუნიციპალიტეტის ლიდერობას სწორედ „სამოქალაქო ბიუჯეტის“ არსებობა და სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, მოსახლეობის ინფორმირებულობის დამაკმაყოფილებელი დონე განაპირობებს.

დასკვნა

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, შიდა ქართლის რეგიონში მოქალაქეთა მონაწილეობის ეფექტიანობა უნდა შეფასდეს, როგორც საშუალო. შესაბამისად, კვლევის ჰიპოთეზა გამართლდა. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრული ფორმები, ოპტიმალური გამოყენების პირობებში, საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელოვან გარანტიებს იძლევა, თუმცა კვლევის შედეგად დადგინა, რომ ვერ ხერხდება მათი რაციონალურად გამოყენება.

შიდა ქართლის რეგიონში, მოქალაქეთა მონაწილეობის თვალსაზრისით, გორის მუნიციპალიტეტია ლიდერი. მის პოზიციას მოსახლეობის ინფორმირებულობის მაღალი ხარისხი და გამართულად ფუნქციონირებადი „სამოქალაქო ბიუჯეტის“ არსებობა. მერიებიდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, გორის მუნიციპალიტეტი ეკონომიკურად ყველაზე ძლიერია შიდა ქართლში. შესაბამისად, პირველი ქვე-ჰიპოთეზის ერთი ნაწილი უარყოფილია, რომლის თანახმად, მოქალაქეთა მონაწილეობის მაჩვენებელი უფრო მაღალია ეკონომიკურად სუსტ მუნიციპალიტეტებში. ამის პარალელურად, აღნიშნული ქვე-ჰიპოთეზის მეორე ნაწილი გამართლდა, რომლის თანახმად, რაც უფრო მეტად არიან ადამიანები ინფორმირებულნი არსებული მექანიზმების შესახებ, მით უფრო მაღალია მათი მონაწილეობის მაჩვენებელი. გორის გარდა, შიდა ქართლის ყველა მუნიციპალიტეტში, გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა არასწორად დაასახელა მონაწილეობის ფორმები.

ინფორმირებულობის დაბალი დონის პარალელურად, ჩატარებული ინტერვიუებისა და მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ მოქალაქეთა მონაწილეობის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორები საზოგადოების ნიჰილისტური დამოკიდებულება და ის საკანონმდებლო შეზღუდვებია, რომელიც პეტიციის წარდგენასა და დასახლების საერთო კრების ინიცირებასა და ჩატარებას უკავშირდება. შესაბამისად, გამართლდა მეორე ქვე-ჰიპოთეზა.

კვლევის შედეგად დადგინდა ძირითადი სოციალური, პოლიტიკური და სამართლებრივი ბარიერები, რომელიც ხელს უშლის მოქალაქეთა დაუბრკოლებელ მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში. სოციალურ ბარიერებს მიეკუთვნება, აღნიშნულ ნაშრომში უკვე განხილული, ინფორმირებულობის დაბალი დონე და საზოგადოების ნიჰილისტური დამოკიდებულება. სამართლებრივ ბარიერებს მიეკუთვნება მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებთან დაკავშირებული შეზღუდვები. რესპოდენტების მოსაზრებით, აუცილებელია შემცირდეს პეტიციის წარდგენისათვის საჭირო 1% და დასახლების საერთო კრების ლეგიტიმაციისათვის საჭირო 20%. რაც შეეხება პოლიტიკურ ბარიერებს, აქ იგულისხმება ადგილობრივი მმართველი ორგანოების უმოქმედობა. გამოკითხულთა აზრით, მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესის გაუმჯობესებისათვის საჭიროა თითოეული მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხრიდან გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ მონაწილეობის ახალი მექანიზმების შემოღებამ საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფის კარგი საფუძველი შექმნა. მუნიციპალიტეტებში, მეტ-ნაკლებად, დაინერგა მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკა, თუმცა არსებული სიტუაცია საჭიროებს გაუმჯობესებას, რისთვისაც საჭიროა აღნიშნულ პროცესში ჩართული თითოეული აქტორის მობილიზება და მათი მხრიდან ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

რეკომენდაციები

როდესაც ვაფასებთ მოქალაქეთა მონაწილეობას შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში, მოცემულ კვლევაზე დაყრდნობით, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გაუმჯობესდეს საზოგადოების ინფორმირებულობის დონე. ამ მიმართლებით დღეს მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს არასამთავრობო ორგანიზაციები. საჭიროა გაიზარდოს ადგილობრივი მმართველი ორგანოების როლიც. მათ უნდა იზრუნონ იმაზე, რომ შეიცვალოს საზოგადოების ნიჰილისტური დამოკიდებულება. რაც შეეხება თავად მოქალაქეებს, მათი მხრიდან აუცილებელია მეტი დაინტერესება ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.

გარდა ამისა, კვლევის პროცესში ჩატარებული ინტერვიუებისა და მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად, გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას.

დასახლების საერთო კრების ეფექტიანობის გასაზრდელად აუცილებელია შემცირდეს ამომრჩეველთა 20%-იანი ზღვარი. აღნიშნული ცვლილება წაახალისებს საერთო კრებების ჩატარებას დიდი დასახლებებშიც, სადაც დღეისათვის ეს პროცესი, ფაქტობრივად, შეჩერებულია ლეგიტიმაციისათვის საჭირო დიდი პროცენტის გამო.

იმისათვის, რათა მუნიციპალიტეტებში დაიწყო პეტიციის გამოყენება, საჭიროა შემცირდეს 1%-იანი ზღვარი. აღნიშნული ცვლილება წაახალისებს ამ მექანიზმის ფუნქციონირებას.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მუშაობის ეფექტიანობის გასაზრდელად საჭიროა თითოეულმა მუნიციპალიტეტმა შეიმუშავოს კარგად ჩამოყალიბებული დებულება და საქმიანობის სტრატეგიული გეგმა. გარდა ამისა, აუცილებელია წევრების შერჩევა მოხდეს კონკურსის სახით, რაც დამატებითი პასუხისმგებლობა იქნება მათთვის. ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ დღეს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოებში

ძალიან ცოტა აქტიური წევრია, კონკურსის წესის დამკვიდრება ამ სიტუაციას გააუმჯობესებს.

იმისათვის, რათა გაუმჯობესდეს საკრებულოს სხდომებზე დასწრების მაჩვენებელი, საჭიროა ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოებისაგან გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები. ამ მიმართულებით, ეფექტიანი იქნება შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში დამკვიდრდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ინიციატივა, რომლის ფარგლებში, თითოეული სხდომის წინ, რამდენიმე დღით ადრე, მოსახლეობას ეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინებები(„სმს“) სხდომათა თარიღისა და განსახილველი საკითხების შესახებ. გარდა ამისა, იქიდან გამომდინარე, რომ მოსახლეობამ ინფორმაციის მიღების მთავარ საშუალებად ინტერნეტი დაასახელა, საჭიროა საკრებულოს სხდომათა ონლაინ-ტრანსლირება „ფეისბუკის“ სოციალურ ქსელში.

რაც შეეხება, მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენას, აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა აკონტროლონ საკრებულოს თითოეული წევრი, რათა მათ ჯეროვნად შეასრულონ ვალდებულება და წელიწადში ერთხელ მაინც მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან. მერების შემთხვევაში ეს ვალდებულება სრულდება, თუმცა მოსახლეობის დაინტერესება ძალიან დაბალია. შესაბამისად, საჭიროა როგორც მერის, ისე საკრებულოს წევრების ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის წინ მოსახლეობა მაქსიმალურად ინფორმირებული იყოს წარდგენის ადგილისა და თარიღის შესახებ. ამ მიმართულებით, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, აუცილებელია ინტერნეტის გამოყენება.

გორის ერთადერთი მუნიციპალიტეტია შიდა ქართლის რეგიონში, სადაც მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი მექანიზმი, „სამოქალაქო ბიუჯეტი“ ფუნქციონირებს. კვლევის პროცესში გამოკითხული რესპონდენტები თვლიან, რომ მისი ეფექტიანობა საკმაოდ მაღალია. ისინი ამტკიცებდნენ, რომ „სამოქალაქო ბიუჯეტის“ დანერგვის შემდეგ მოქალაქეთა ცნობიერების დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა, საზოგადოებამ იგრძნო

პასუხისმგებლობა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მექანიზმის მნიშვნელობისა და ეფექტიანობის გათვალისწინებით, საჭიროა გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიზარდოს ამ პროექტზე გამოყოფილი თანხები.

მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მოქალაქეთა მონაწილეობის გაუმჯობესებას შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში.

ბიბლიოგრაფია

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. (2014). Retrieved მარტი 5, 2019, from https://matsne.gov.ge: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429

თვალთვაძე, ნ. (2017). *ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის არსებული მექანიზმების შეფასება საქართველოში.* Retrieved მაისი 15, 2019, from https://rm.coe.int/1680784818

თვითმმართველობის პორტალი droa.ge. (2019). *ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს, მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფარგლებში, მერიისთვის პროექტების წარდგენა შეეძლებათ.* Retrieved ივნისი 12, 2019, from https://droa.ge: https://droa.ge/?p=44133

ლოსაბერიძე, დ., კანდელაკი, კ., აბულაძე, მ., & კონჯარია, ო. (2016). *ადგილობრივი თვითმმართველობა.* თბილისი: მწვანე კავკასია.

მახარაძე, გ. (2014). *ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის გარანტიები საქართველოს კონსტიტუციაში.* Retrieved მაისი 4, 2019, from https://emc.org.ge: https://emc.org.ge/ka/products/adgilobrivi-tvitmmartvelobis-damoukideblobis-garantiebi-sakartvelos-konstitutsiashi

მონაწილეობითი ბიუჯეტი 2019. (2019). Retrieved ივნისი 6, 2019, from https://batumi.ge: https://batumi.ge/ge/index.php?page=shownews&id=4936

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. (2014). *თვითმმართველობის კოდექსის ძირითადი სიახლეები.* Retrieved მაისი 9, 2019, from https://www.transparency.ge: https://www.transparency.ge/ge/blog/tvitmmartvelobis-kodeksis-dziritadi-siakhleebi

სამოქალაქო ბიუჯეტი საქართველოში. (2017). Retrieved მაისი 22, 2019, from http://participatory.ge: http://participatory.ge/ka/2017/07/pbsaqartvelosi?fbclid=IwAR3C0dywL2p4XwlsIAVwRibFXMmJjtZiWKQTcdX8qNhEVdGtNr8xwRxmJSA

სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი. (2015). *ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში 1991-2014.* Retrieved მარტი 7, 2019, from https://osgf.ge: https://www.osgf.ge/files/2015/Publication/adgilobrivi_demokratiis_ganvitarebis_angarishi_1991-2014__bolo.pdf

სამოქალაქო მონაწილეობის კიბე - შერი ბ. არნშტეინი. (2015). Retrieved მარტი 22, 2019, from http://selforgnetwork.blogspot.com: http://selforgnetwork.blogspot.com/2015/06/blog-post_11.html

ყიფიანი, დ. (2016). *მოქალაქეთა მონაწილეობის სტიმულირება თვითმმართველობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამებში.* Retrieved ივნისი 22, 2019, from https://www.ctc.org.ge: https://www.ctc.org.ge/wp-content/uploads/2019/06/მოქალაქეთა-მონაწილეობა.pdf

Arnstein, S. (1969). A Ladder Of Citizen Participation. *Journal of the American Planning Association, Vol35(4)*, 216-224.

Australian National University. (2016). *Stakeholder participation: Arnstein's ladder .* Retrieved ივნისი 27, 2019, from https://i2s.anu.edu.au: https://i2s.anu.edu.au/resources/stakeholder-participation-arnsteins-ladder

Bastidas, S. (2004). *The Role of Public Participation in the Impact Assessment of Trade Process.* Retrieved ივნისი 14, 2019, from http://cielap.org: http://cielap.org/pdf/publicparticipation.pdf

Bingham, L. B., Nabatchi, T., & O'Leary, R. (2005). The New Governance: Practices and Processes for Stakeholder and Citizen Participation inthe Work of Government. *Public Administration Review, Vol.65(5)*, 547-558.

Brillantes, A., & Fernandez, M. (2011). Good Governance, Social Quality and Active Citizenship: Gawad Kalinga in the Philippines. *The International Journal of Social Quality, Vol.1(2)*, 19-30.

Brodie, E., Cowling, E., Nissen, N., Parine, A. E., Jochum, V., & Warburton, D. (2009). *Understanding Participation: A Literature Review.* Retrieved ივნისი 12, 2019, from http://www.sp.gov.tr/upload/Sayfa/47/files/Pathways-literature-review-final-version.pdf

Centers for Information and Public Participation in Environmental. (2012). *Principles, Guidelines and Protocols on Public Participation in Decision-Making at the Local Leven.* Retrieved ივნისი 18, 2019, from http://aarhus.ba: http://aarhus.ba/sarajevo/images/docs/principles%20guidelines%20and%20protocols%20on%20public%20participation%20in%20decision%20making%20at%20the%20local%20level.pdf

Ebdon, C., & Franklin, A. L. (2006). Citizen Participation in Budgeting Theory. *Public Administration Review, Vol.66(3)*, 437-447.

Edwards, M., Halligan, J., Horrigan, B., & Nicoll, G. (2012). *Public Sector Governance in Australia.* ANU Press.

Ito, T. (2017). *Citizenship and Democratization in Southeast Asia.* Brill.

Kathi, P. C., & Cooper, T. L. (2005). Democratizing the Administrative State: Connecting Neighborhood Councils and City Agencies. *Public Administration Review, Vol.65(5)*, 559-567.

Kimemia, L. (2017). *4 Benefits of Public Participation in Kenya's Devolved System.* Retrieved ივნისი 3, 2019, from https://goleadkenya.com: https://goleadkenya.com/2017/09/08/341/

Krishnaswamy, A. (2009). Strategies and Tools for Effective Public Participation. *Forrex Forum for Research and Extension in Natural Resources.* Burnaby: Simon Fraser University.

Lachapelle, P., & Shanahan, E. (2010). The Pedagogy of Citizen Participation in Local Government: Designing and Implementing Effective Board Training Programs for Municipalities and Counties. *Journal of Public Affairs Education, Vol.16(3)*, 401-419.

Larocque, F. (2011). The Impact of Institutionallization, Politicization and Mobilization on the Direct Participation of Citizens Experiencing Poverty. *Canadian Journal of Political Science, Vol.44(4)*, 883-902.

McNulty, S. (2013). Participatory Democracy? Exproling Peru's Efforts to Engage Civil Society in Local Governance. *Latin American Politics and Society, Vol.55(3)*, 69-92.

Miller, K. (2002). Advantages & Disadvantages of Local Government Decentralization. *Caribbean Conference on Local Government & Decentralization.* Georgetown.

Pandeya, G. P. (2015). Does Citizen Participation in Local Government Decision-Making Contribute to Strengthening Local Planning and Accountability Systems? An Empirical Assessment of Stakeholders' Perceptions in Nepal. *International Public Management Review, Vol.16(1)*, 67-98.

Patel, S. L. (2009). REINVENTING LOCAL GOVERNMENTS: People's Participation Empowerment. *The Indian Journal of Political Science, Vol.70(2)*, 381-386.

RRI Tools. (2017). *A Ladder of Citizen Participation.* Retrieved ივნისი 28, 2019, from https://www.rri-tools.eu: https://www.rri-tools.eu/-/a-ladder-of-citizen-participation?fbclid=IwAR2Vz_a-gXTnz-AkKotBTiAAnedmJDn1hpevUwUyux7crtEKUETlrKVv3jc

Sheng, Y. K. (n.d.). *What is Good Governance?* Retrieved მაისი 11, 2019, from https://www.unescap.org: https://www.unescap.org/sites/default/files/good-governance.pdf

Southeast Community Research Center. (2019). *Where You Stand on the Ladder Really Matters.* Retrieved ივნისი 28, 2019, from http://www.cbpr.org: http://www.cbpr.org/areas-of-work/citizen-participation/?fbclid=IwAR1oAnVSh33zRnqLAe3Qe-H6b0mp6uyjSe5tzO8sz4d5PETqxHKi5pSsL1E

Suh, S. Y. (2003). *Promoting Citizen Participation in E-Government.* Seoul.

The Citizens Handbook. (n.d.). *Arnstein's Ladder of Citizen Participation.* Retrieved ივნისი 28, 2019, from http://www.citizenshandbook.org: http://www.citizenshandbook.org/arnsteinsladder.html?fbclid=IwAR2PZ4pyWSoxy8HKNm4ND83vshfIRAuHvddVbo-JHyObXUS-2WIVg2MYi3A

The Involve Foundation. (2018). *Benefits and Costs of Public Participation.* Retrieved ივნისი 19, 2019, from https://www.involve.org.uk: https://www.involve.org.uk/resources/knowledge-base/what-impact-participation/benefits-and-costs-public-participation

Zandberger, D., & Jaffe, R. (2014). Participation: Citizenship, Democracy and Responsibilization. *EtnoFoor, Vol.26(2)*, 7-10.

დანართი

დანართი 1

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო

KA990130613579519

საქართველო, გორი 1400 სტალინის №16 ს/კ 218 086087

№ **03/187**

16 / აპრილი / 2019 წ.

ქ.თბილისში, ხუდადოვის ქ #12 ბ. 2-ში
მცხოვრებ მოქალაქე ვაჟა ხეცურიანს

ბატონო ვაჟა,

თქვენი მიმდინარე წლის 10 აპრილის განცხადების (მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია №190 04.10.19 წ.) პასუხად გიგზავნით შემდეგ ინფორმაციას:

1. ინფორმაცია პეტიციის შესახებ:
   - 2015 წლის ივლისიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით საკრებულოში პეტიცია წარდგენილი იქნა ერთხელ;
   - აღნიშნული პეტიცია წარდგენილი იყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლების 1%-ის მიერ;
   - წარმოდგენილი პეტიცია დარეგისტრირდა ელექტრონული სისტემით, მაგრამ განმცხადებლის მიერ მოხდა მისი უკან გათხოვა.
2. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ:
   - იმის გამო, რომ სხდომებზე დასწრება თავისუფალია, 2015 წლის ივლისიდან 2019 წლის მარტის ჩათლით ჩატარებულ საკრებულოს და კომისიების სხდომებზე მოქალაქეთა დასწრების რეგისტრაცია არ მომხდარა;
   - სხდომათა თარიღების გავრცელება ადგილობრივ მოსახლეობაში ხდება სოციალური ქსელის მეშვეობით ასევე ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე და განცხადება ქვეყნდება საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე.
3. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე:
   - გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სულ არის 40 წევრი;
   - საკრებულოს წევრების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების წარდგენა მოსახლეობის წინაშე არ ყოფილა.
4. ინფორმაცია „სამოქალაქო ბიუჯეტის“ შესახებ:

   დანართის სახით წარმოგიდგენთ ინფორმაციას „სამოქალაქო ბიუჯეტის“ შესახებ.

   /დანართი: 4 ფურცლად/

ქატივისცემით,

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით რაზმაძე

ასლი დედანთან სწორია 16.04.2019წ

დანართი 2

გორის მუნიციპალიტეტის მერია

KA990108630836819

საქართველო, გორი 1400, გ. ფერაძის 5; ს/კ 218086087

№ 01/6895 **15 / აპრილი / 2019 წ.**

ვაჟა ხეცურიანი
თბილისი ხუდადოვის ქN12, ბინა 2

ბატონო ვაჟა,
თქვენი წერილის გორის მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარიის რეგისტრაციის ნომრით #5478/10.04.19. ხელმძღვანელობ, „ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულიკოდექსით" და „ პერსონალური მონაცემების დაცვის შესხაებ" - საქართველოს კანონით, აგრეთვე, პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის ვებ-გვერდით (personaldata.ge/ge categories.fag) გაცნობებთ, რომ:
1. გორის მუნიციპალიტეტის ფართობია 2327კვადრატული კილომეტრი, მოსახლეობის რაოდენობა - 144000 კაცი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი:
* 2015 წელი - ქალაქი 20432100 ლარი; რაიონი 19907000 ლარი
* 2016 წელი - ქალაქი 20310000 ლარი; რაიონი 23528000 ლარი.
* 2017 წელი - ქალაქი 21199800 ლარი; რაიონი 22918300 ლარი.
* 2018 წელი - 45788900 ლარი.
* 2019 წელი - 55151200 ლარი.
2. 2015 წლიდან დღემდე დარეგისტრირდა 2 საერთო კრება, ორივე შემთხვევაში ინიციატივა მოდიოდა ამომრჩეველთა არანაკლებ 5%-ის მიერ, შესაბამისად მერის მიერ და საერთო კრების რჩეულის მიერ ინიციატივა არ ყოფილა. ორივე შემთხვევაში საერთო კრება წარმატებით ჩატარდა და მობილიზებული იყო ამომრჩეველთა 20%-ზე მეტი.
3. მუნიციპალიტეტების გაერთიანების შემდეგ მრჩეველთა საბჭო შეიქმნა 2018 წლის 9 ივლისს და ჩაატარა 3 შეხვედრა (27ივლისს; 3აგვისტოს; 16 ნოემბერს).
2018 წლის 9 ივლისს ძალაში შევიდა გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება # 3838 „გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს(სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს) შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესხაებ".
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შედგება 14 პიროვნებისგან, მათგან 8 მამაკაცი და 6 ქალბატონია. 7 წევრი ქალაქ გორის მოქალაქეა, დანაღჩენები კი: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის გორის ოფისის წევრი,შპს „სამეგობროს" დირექტორი, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ოფისის ხელმძღვანელი, საია გორის ოფისის ხელმძღვანელი, სოფლების - ტყვიავი, ფლავი, ქვემო ხვითი თითო მაცხოვრებელი. მრჩეველთა საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი. გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სოციალური ქსელის საშუალებით(feisbuk.com) მისამართზე „ გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო".
4.დროის ამშუალედში მუნიციპალიტეტის მერმა გაწეული მუშაობის შესხაებ ანგარიშის წარდგენა გააკეთა 10 - ჯერ, ამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება ხდებოდა ჩვენი ვებ-გვერდის, მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფის და ყველა იმ დროისათვის მოქმედი დასმედიის საშუალებებით.
5. რაც შეეხება ინფორმაციას „ სამოქალაქო ბიუჯეტის " შესახებ მას თქვენ გაეცნობით დანართში 1.

დანართი: 4 ფურცელი

პატივისცემით,

დანართი 3

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო

KA990182814438619

№ 08/63 **17 / აპრილი / 2019 წ.**

საქართველოს მოქალაქეს
ბატონ ვაჟა ხეცურიანს
მცხ. ქ. თბილისი, ხუდადოვის ქ. №12, ბ. №2
პ/ნ 01024082996

ბატონო ვაჟა!

თქვენი, 2019 წლის 10 აპრილის განცხადების პასუხად (საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ) გაცნობებთ:

1. ინფორმაციას პეტიციის შესახებ:
- 2015 წლის ივლისიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით ქარელის მუნიციალიტეტის საკრებულოში წარდგენილ იქნა ერთი პეტიცია (29.03.2017);
- აღნიშნული პეტიცია წარდგენილი იყო დასახლების საერთო კრების მიერ;
- წარმოდგენილი პეტიცია წარმატებით დარეგისტრირდა;
- აღნიშნული პეტიცია საკრებულომ მიიჩნია მიზანშეწონილად;
- აღნიშნული პეტიცია აისახა ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

2. ინფორმაციას ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობის შესახებ:
- 2015 წელს აგვისტოს თვეში ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ჩაატარა მოსახლეობის გამოკითხვა გარე ვაჭრობის რეგულირების წესების დადგენასთან დაკავშირებით. კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე მონაწილეობა მიიღეს გარემოვააჭრეებმა.

2015 წლის სექტემბრიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და კომისიის სხდომებში მოქალაქეებს არ მიუღიათ მონაწილეობა.
- ადგილობრივ მოსახლეობაში ინფორმაციის გავრცელება სხდომათა თარიღების შესახებ ხდება - საჯარო გამოცხადებისა და საკრებულოს ოფიციალურ facebook გვერდზე გამოქვეყნების გზით.

3. ინფორმაციას ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ განეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე:
- ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სულ არის 33 წევრი;
- 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოდგენა მოახდინა 17-მა, 2016 წელს - 29, 2017 წელს - 16-მა, 2018 წელს კი - 31-მა წევრმა;
- ადგილობრივ მოსახლეობაში საკრებულოს წევრების მიერ განეული მუშაობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება (ანგარიშების წარდგენის თარიღების გამოქვეყნება) ხდება საჯარო გამოცხადების გზით.

პატივისცემით,

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ივანე არდემანაშვილი

დანართი 4

საქართველო

ქარელის მუნიციპალიტეტის მერია

KA990156532189519

ქარელი, ნინოშვილის ქ. N3, 4500 ტელ: 0 369 23 21
21

№ 03/4939 **16 / აპრილი / 2019 წ.**

მოქალაქე ვაჟა ხეცურიანს, პ/ნ
01024082996, მცხოვრები ქ.თბილისში,
ხუდადოვის ქუჩა N12, ბინა N2.

ქარელის მუნიციპალიტეტის მერია, თქვენს 2019 წლის 10 აპრილის განცხადებაზე (რეგისტრაციის N 1944) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ, გაცნობებთ რომ ქარელის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 687,9 კვ.კმ-ს, ხოლო მოსახლეობა 55 285 ადამიანს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი: 2015 წელი - 16 215 902 ლარი, 2016 წელი - 14 090 349 ლარი, 2017 წელი - 13 391 875 ლარი, 2018 წელი - 14 409 803 ლარი და 2019 წელი - 18 659 895 ლარი

2015 წლის ივლისიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით დასახლების საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივა არ დარეგისტრირებულა, თუმცა ტარდებოდა შეხვედრები მოსახლეობასთან.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შეიქმნა 2015 წლის 7 სექტემბერს ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის N 865 ბრძანების საფუძველზე. დამტკიცებულია საბჭოს დებულება და ოქმები. მრჩეველთა საბჭო შედგება 11 წევრისაგან, საიდანაც 6 მამაკაცია ხოლო 5 ქალბატონი. წევრებთაგან 3 პედაგოგია, 3 მეწარმე, 1 არასამთავრობო ორგანიზაცია, 2 ექიმი და 2 მოქალაქე. საბჭოს ყავს თავმჯდომარე ლია ყიფიანი (მ/ტ 599 44 31 85) საქმიანობის სფერო პედაგოგი, მდივანი ნიკო ბაქრაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია. საბჭომ შექმნიდან დღემდე ჩაატარა 13 სხდომა.

მუნიციპალიტეტის მერი გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს წარადგენს მოსახლეობის წინაშე ყოველწლიურად. ანგარიშის წარდგენის დროსა და ადგილის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებისათვის გამოიყენება: მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი, ფეისბუკ გვერდი და დასახლებულ პუნქტებში განთავსებული საინფორმაციო დაფები.

მერი ხელმოწერილია/ შტამპადასმულია ელექტრონულად ზაზა გულიაშვილი

დანართი 5

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საქართველო. ხაშური 5700 ტაბიძის №2; ტელ.: 0 368 243000

KA990172140224519

№ 03/73 **22 / მარტი / 2019 წ.**

მოქალაქე: ვაჟა ხეცურიანს

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული თქვენი მ/წლის 18 მარტის ელექტრონული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წლიდან დღემდე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიცია არ დარეგისტრირებულა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და კომისიის სხდომების ჩატარების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.khashuri.org.ge და საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე.

რაც შეეხება ინფორმაციას საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე განცხადება შესაბამისი საკრებულოს წევრის, თარიღის და ადგილმდებარეობის მითითებით ქვეყნდებოდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვით www.khashuri.org.ge

წარმოგიდგენთ ინფორმაციას წლების მიხედვით საკრებულოს წევრების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშების შესახებ:

2015 წელი - 22 საკრებულოს წევრის ანგარიში;
2016 წელი - 20 საკრებულოს წევრის ანგარიში;
2018 წელს - 28 საკრებულოს წევრის ანგარიში;

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

მიხეილ ჯანაშვილი

დანართი 6

ხაშურის მუნიციპალიტეტი
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია
Khashuri Municipality
Khashuri City Hall

KA990128134380719

№ 03/3346 **25 / მარტი / 2019 წ.**

ვაჟა ხეცურიანს, პ/ნ 01024082996
მცხოვრებს ქ. თბილისი, ხუდადოვის ქ. N12, ბ N 2

ბატონო ვაჟა,

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული 2019 წლის 18 მარტის წერილის პასუხად გიგზავნით შემდეგ ინფორმაციას :

1. ზოგადი ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალტეტის შესახებ:

- ხაშურის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 585,2 კვ. კმ-ს.
- ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 52603 კაცს.
- ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015, 2016,2017, 2018, 2019 წლების ბიუჯეტი იხილეთ საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე. (ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებები - N74, 11.12.2014 წ., N60, 15.12.2015 წ., N35, 19.12.2016 წ., N48, 15,12.2017 წ., N78, 14.12.2018 წ)

2. ინფორმაცია დასახლების საერთო კრების შესახებ:

- 2015 წლის ივლისიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით სულ დარეგისტრირდა 67 ინიციატივა დასახლების საერთო კრების მოწვევის შესახებ.
- დარეგისტრირებული ინიციატივებიდან დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩეველთა 5 %-ის მიერ ინიცირებული იქნა 7 ინიციატივა.
- დარეგისტრირებული ინიციატივებიდან მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიცირებული იქნა 60 ინიციატივა.
- დარეგისტრირებული ინიციატივებიდან საერთო კრების რჩეულის მიერ კრების მოწვევის ინიციატივა არ დაფიქსირებულა.
- დარეგისტრირებული ინიციატივებიდან 65 შემთხვევაში წარმატებით ჩატარდა დასახლების საერთო კრება. მათგან კრებები ჩატარდა მერის მიერ ინიცირებული 60 ინიციატივიდან 60-ივე შემთხვევაში, ხოლო ამომრჩეველთა 5%-ის მიერ ინიცირებული 7 ინიციატივიდან 5 შემთხვევაში. ამომრჩეველთა 5%-ის მიერ ინიცირებულ 2 შემთხვევაში კი ვერ მოხერხდა რეგისტრირებულ ამომრჩეველთა შესაბამისი რაოდენობის (20 %) მობილიზება. აღნიშნულ 2 სოფელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მერის ინიციატივით გაიმართა მოსახლეობასთან კონსულტაცია.

3. ინფორმაცია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ:

- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შეიქმნა 2018 წლის 7 მაისს.
- შექმნიდან დღემდე სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ ჩაატარა 2 სხდომა: 2018 წლის 1 ივნისს და 2018 წლის 4 დეკემბერს.

- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება დამტკიცებულია 2018 წლის 15 მაისს.
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შედგება 10 წევრისაგან. მათ შორის- 4 ქალია, 6 მამაკაცი. საბჭოს შემადგენლობაში არიან განათლების, კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და მოქალაქე.
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე.

4. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე:

- 2015 წლიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა (2017 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა) მოსახლეობას ანგარიში წარუდგინა გაწეული მუშაობის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 4-ჯერ. (2015 წელს, 2016 წელს, 2017 წელს, 2018 წელს.)
- მუნიციპალიტეტის მერის (გამგებლის) მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუქის ოფიციალური გვერდის საშუალებით. www.facebook.com/khashuriCityHall/).

თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას პეტიციით მუნიციპალიტეტისათვის არ მოუმართავს.

პატივისცემით
ხაშურის მუნიციპალიტეტის

მერი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

გიორგი გურასპაშვილი

დანართი 7

ინტერვიუ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრთან

ინტერვიუს გზამკვლევი

ძირითადი კითხვები	**დამატებითი კითხვები**	**დამაზუსტებელი კითხვები**
1. ზოგადად, რას ნიშნავს თქვენთვის მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელების პროცესში?	რა დადებითი/უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს მოქალაქეთა მონაწილეობამ ქვეყნის განვითარებაზე?	მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები საერთაშორისო გამოცდილებიდან.
2. რამდენად მნიშვნელოვანია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, როგორც მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმის არსებობა ქვეყნისათვის?	რამდენად მნიშვნელოვანია მისი არსებობა კონკრეტულად თქვენი მუნიციპალიტეტისათვის?	რატომ ფიქრობს ასე?
3. რატომ გადაწყვიტეთ საბჭოს წევრობა?	როგორ მიიღეთ ინფორმაცია თქვენს მუნიციპალიტეტში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს არსებობის შესახებ?	

	როგორ გახდით საბჭოს წევრი?	
4. როგორია საბჭოს შემადგენლობა გენდერულ და ასაკობრივ ჭრილში? საქმიანობის ტიპის მიხედვით?	რა როლი აქვს თითოეულ აქტორს საბჭოს მუშაობის პროცესში?	როგორ შეაფასებთ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების აქტიურობას საბჭოში? უფრო ვრცლად გვიამბეთ მოქალაქეთა როლზე საბჭოს ფუნქციონირების პროცესში.
5. რამდენად ხშირად იმართება საბჭოს სხდომები?	ძირითადად, ვისი ინიციატივით ხდება საბჭოს სხდომათა ჩატარება?	რამდენად ხშირად მოდის ინიციატივა უშუალოდ საბჭოს წევრების მხრიდან?
6. ყველაზე ხშირად რა თემასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს საბჭო?		
7. ყოფილა თუ არა შემთხვევები, როცა მუნიციპალიტეტის მერსა და საბჭოს წევრებს განსხვავებული პოზიციები გქონიათ ამა	როგორ გადაწყვეტილა აღნიშნული აზრთა სხვადასხვაობა?	

თუ იმ საკითხებთან მიმართებაში?		
8. როგორ შეაფასებდით კომუნიკაციას მერიის თანამშრომლებთან?	როგორ გესახებათ კომუნიკაციის გაუმჯობესება?	
9. როგორ ფიქრობთ, რამდენად ეფექტიანია საბჭოს მუშაობა მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით?	მოქალაქეთა მონაწილეობის თვალსაზრისით, რა შეიცვალა თქვენს მუნიციპალიტეტში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის შემდგომ? გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინები?	
10. რა ხარვეზები და ხელისშემშლელი ფაქტორები შეგიძლიათ აღნიშნოთ საბჭოს მუშაობასთან დაკავშირებით?	ვის მიერ და როგორ უნდა აღმოიფხვრას ისინი?	
11. როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია დასახლების საერთო	როგორ ერგება ის კონკრეტულად თქვენს მუნიციპალიტეტში არსებულ სიტუაციას?	საერთო კრება უფლებამოსილი რომ იყოს, მას უნდა ესწრებოდეს შესაბამის დასახლებაში

კრების, როგორც მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმის არსებობა საქართველოში?	ვის მიერ და რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად?	რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 20%. თქვენი აზრით, უნდა დაიწიოს თუ არა ამ ზღვარმა?
12. 2015 წლიდან დღემდე თქვენს მუნიციპალიტეტში, ფაქტობრივად, უგულებელყოფილია მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა - პეტიცია. რით ახსნით ამ ფაქტს?	როგორ გესახებათ აღნიშნული პრობლემის მოგვარება? ვის მიერ და რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას სიტუაციის გამოსასწორებლად?	პეტიციის წარდგენის უფლება აქვს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს. თქვენი აზრით, უნდა დაიწიოს თუ არა ამ ზღვარმა?
13. რას ფიქრობთ „სამოქალაქო ბიუჯეტის“, როგორც მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი მექანიზმის შესახებ?	არის თუ არ მზად თქვენი მუნიციპალიტეტი განახორციელოს „სამოქალაქო ბიუჯეტი“?	თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა, რომ „სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფუნქციონირება სავალდებულო გახდეს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში?
14. რამეს ხომ არ დაამატებდით?		

დანართი 8

ინტერვიუ მერიის წარმომადგენელთან

ინტერვიუს გზამკვლევი

ძირითადი კითხვები	**დამატებითი კითხვები**	**დამაზუსტებელი კითხვები**
1. ზოგადად, რას ნიშნავს თქვენთვის მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელების პროცესში?	რა დადებითი/უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს მოქალაქეთა მონაწილეობამ ქვეყნის განვითარებაზე?	მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები საერთაშორისო გამოცდილებიდან.
2. როგორია მზაობა მოქალაქეთა მხრიდან ჩაერთონ ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელების პროცესში?	რა განაპირობებს მათი მზაობის დაბალ დონეს?	როგორ გესახებათ აღნიშნული სიტუაციის გამოსწორება?
3. როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია დასახლების საერთო კრების, როგორც მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმის არსებობა	როგორ ერგება ის კონკრეტულად თქვენს მუნიციპალიტეტში არსებულ სიტუაციას? რა ხარვეზები და ხელისშემშლელი ფაქტორები შეგიძლიათ	ვის მიერ და რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად? საერთო კრება უფლებამოსილი რომ იყოს,

საქართველოში?	აღნიშნოთ ამ მექანიზმთან დაკავშირებით?	მას უნდა ესწრებოდეს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 20%. თქვენი აზრით, უნდა დაიწიოს თუ არა ამ ზღვარმა?
4. ყველაზე ხშირად რა საკითხებთან დაკავშირებით იმართება დასახლების საერთო კრება?		
5. 2015 წლიდან დღემდე თქვენს მუნიციპალიტეტში, ფაქტობრივად, უგულებელყოფილია მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა - პეტიცია. რით ახსნით ამ ფაქტს?	როგორ გესახებათ აღნიშნული პრობლემის მოგვარება? ვის მიერ და რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას სიტუაციის გამოსასწორებლად?	პეტიციის წარდგენის უფლება აქვს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს. თქვენი აზრით, უნდა დაიწიოს თუ არა ამ ზღვარმა?
6. არის თუ არა შესაძლებელი თქვენს მუნიციპალიტეტში პეტიციის წარდგენა ელექტრონული		

ფორმით?		
7. რამდენად მნიშვნელოვანია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, როგორც მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმის არსებობა ქვეყნისათვის?	რამდენად მნიშვნელოვანია მისი არსებობა კონკრეტულად თქვენი მუნიციპალიტეტისათვის? რა ხარვეზები და ხელისშემშლელი ფაქტორები შეგიძლიათ აღნიშნოთ ამ მექანიზმთან დაკავშირებით?	თქვენი აზრით, გააუმჯობესებს თუ არა საბჭოს ფუნქციონირებას მისი წევრების არჩევითობა?
8. ესწრებიან თუ არა თქვენი მუნიციპალიტეტის მოქალაქეები საკრებულოს სხდომებს?	რა განაპირობებს მათ დაბალ/მაღალ ინტერესს? თქვენი აზრით, ქმედითია თუ არა მოქალაქეთა მონაწილეობის ეს ფორმა?	რა მექანიზმებით ხდება ინფორმაციის მიწოდება მოქალაქეებისათვის საკრებულოს სხდომების შესახებ?
9. ესწრებიან თუ არა თქენი მუნიციპალიტეტის მოქალაქეები მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს წევრების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენას?	რა განაპირობებს მათ დაბალ/მაღალ ინტერესს? თქვენი აზრით, ქმედითია თუ არა მოქალაქეთა მონაწილეობის ეს ფორმა?	რა მექანიზმებით ხდება ინფორმაციის მიწოდება მოქალაქეებისათვის გაწეული ანგარიშების მოსმენის შესახებ?
10. რას ფიქრობთ	არის თუ არ მზად თქვენი	თქვენი აზრით, საჭიროა თუ

„სამოქალაქო ბიუჯეტის“, როგორც მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი მექანიზმის შესახებ?	მუნიციპალიტეტი განახორციელოს „სამოქალაქო ბიუჯეტი“?	არა, რომ „სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფუნქციონირება სავალდებულო გახდეს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში?
11. მოქალაქეთა მონაწილეობის თვალსაზრისით, რა შეიცვალა თქვენს მუნიციპალიტეტში მონაწილეობის მექანიზმების დანერგვის შემდეგ?		
12. რა არის ის მთავარი ხარვეზები და ხელისშემშლელი ფაქტორები, რომელიც ხელს უშლის მოქალაქეთა ეფექტურ მონაწილეობას ადგილობრივი ხელისუფლების განვითარების პროცესში?	ვის მიერ და რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას სიტუაციის გამოსასწორებლად?	
13. რამეს ხომ არ		

დაამატებდით?		

დანართი 9

ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთან

ინტერვიუს გზამკვლევი

ძირითადი კითხვები	**დამატებითი კითხვები**	**დამაზუსტებელი კითხვები**
1. ზოგადად, რას ნიშნავს თქვენთვის მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელების პროცესში?	რა დადებითი/უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს მოქალაქეთა მონაწილეობამ ქვეყნის განვითარებაზე?	მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები საერთაშორისო გამოცდილებიდან.
2. რა როლი აქვს აღნიშნულ პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციებს?	კმაყოფილი ხართ ამ როლით?	როგორ გესახებათ მისი ზრდა?
3. როგორია მზაობა მოქალაქეთა მხრიდან ჩაერთონ ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელების	რა განაპირობებს მათი მზაობის დაბალ დონეს?	როგორ გესახებათ აღნიშნული სიტუაციის გამოსწორება?

პროცესში?		
4. რამდენად ეფექტიანად მიგაჩნიათ დასახლების საერთო კრების ფუნქციონირება?	რა ხარვეზებსა და ხელისშემშლელ ფაქტორებს გამოყობთ? ვის მიერ და რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად? როგორ ხედავთ აღნიშნულ პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების როლს?	საერთო კრება უფლებამოსილი რომ იყოს, მას უნდა ესწრებოდეს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 20%. თქვენი აზრით, უნდა დაიწიოს თუ არა ამ ზღვარმა?
5. 2015 წლიდან დღემდე შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში მინიმალური რაოდენობის პეტიცია დარეგისტრირდა. 4-დან 2 მუნიციპალიტეტში კი პეტიცია საერთოდ არ დარეგისტირებულა. რით ახსნით ამ ფაქტს?	როგორ გესახებათ აღნიშნული პრობლემის მოგვარება? ვის მიერ და რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას სიტუაციის გამოსასწორებლად? როგორ ხედავთ აღნიშნულ პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების როლს?	პეტიციის წარდგენის უფლება აქვს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს. თქვენი აზრით, უნდა დაიწიოს თუ არა ამ ზღვარმა?

6. რამდენად ეფექტიანად მიგაჩნიათ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირება?	რა ხარვეზებსა და ხელისშემშლელ ფაქტორებს გამოყობთ? როგორ და ვის მიერ გესახებათ მათი გამოსწორება? როგორ ხედავთ აღნიშნულ პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების როლს?	თქვენი აზრით, გააუმჯობესებს თუ არა საბჭოს ფუნქციონირებას მისი წევრების არჩევითობა?
7. თქვენი ინფორმაციით, ესწრებიან თუ არა შიდა ქართლის მუნიციპალიტეტის მოქალაქეები საკრებულოს სხდომებს?	რა განაპირობებს მათ დაბალ/მაღალ ინტერესს? თქვენი აზრით, ქმედითია თუ არა მოქალაქეთა მონაწილეობის ეს ფორმა?	როგორ შეიძლება ეს მექანიზმი გავხადოთ უფრო ქმედითი?
8. თქვენი ინფორმაციით, ესწრებიან თუ არა თქენი მუნიციპალიტეტის მოქალაქეები მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს წევრების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენას?	რა განაპირობებს მათ დაბალ/მაღალ ინტერესს? თქვენი აზრით, ქმედითია თუ არა მოქალაქეთა მონაწილეობის ეს ფორმა?	როგორ შეიძლება ეს მექანიზმი გავხადოთ უფრო ქმედითი?

9. რას ფიქრობთ „სამოქალაქო ბიუჯეტის“, როგორც მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი მექანიზმის შესახებ?	როგორ ფიქრობთ, რეალურად, რამდენად არის მზად გორის მუნიციპალიტეტი ეფექტურად განახორციელოს „სამოქალაქო ბიუჯეტის“ პროექტი?	თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა, რომ „სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფუნქციონირება სავალდებულო გახდეს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში?
10. მოქალაქეთა მონაწილეობის თვალსაზრისით, რა შეიცვალა ქვეყანაში მონაწილეობის მექანიზმების დანერგვის შემდეგ?	რა შეიცვალა კონკრეტულად შიდა ქართლის მხარეში?	
11. რა არის ის მთავარი ხარვეზები და ხელისშემშლელი ფაქტორები, რომელიც ხელს უშლის მოქალაქეთა ეფექტურ მონაწილეობას ადგილობრივი ხელისუფლების განვითარების პროცესში?	ვის მიერ და რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას სიტუაციის გამოსასწორებლად? როგორ ხედავთ აღნიშნულ პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების როლს?	არის თუ არა დღეს არსებული მაღალი საკანონმდებლო შეზღუდვები მოქალაქეთა ეფექტური მონაწილეობის ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი?

12. თქვენი აზრით, მოქალაქეთა მონაწილეობის საზღვარგარეთ აპრობირებული რომელი მექანიზმების დანერგვა იქნებოდა ეფექტური საქართველოში?	რატომ ფიქრობთ ასე?	მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები საერთაშორისო გამოცდილებიდან.
13. რამეს ხომ არ დაამატებდით?		

დანართი 10

მოსახლეობის ინფორმირებულობისა და მონაწილეობის დონის დადგენა

კითხვარის ფორმა

თარიღი: ___/___/ 2019 წელი

I - ინფორმაცია რესპონდენტის შესახებ:

D1. თქვენი საცხოვრებელი ადგილი:

მუნიციპალიტეტი - _____

დასახლება - _____

D2. თქვენი სქესი:

1. მამრობითი

2. მდედრობითი

D3. თქვენი ასაკი:

1. 18 წლამდე
2. 19 – 25
3. 26 - 40
4. 41 – 60
5. 61 და ზემოთ

D4. თქვენი განათლება:

1. უმაღლესი
2. არასრული უმაღლესი
3. პროფესიული
4. სრული საშუალო
5. არასრული საშუალო

D5. დასაქმების სფერო:

1. საჯარო სექტორი
2. კერძო სექტორი -
3. თვითდასაქმებული
4. უმუშევარი
5. სხვა - _____

II - ინფორმირებულობის დონის დადგენა:

Q1. დაასახელეთ თქვენი მუნიციპალიტეტის მერი - _____

Q2. დაასახელეთ თქვენი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - _____

Q3. დაასახელეთ რამდენია თქვენი მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტი - _____

Q4. ჩამოთვლილთაგან რომელია ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებები? (შესაძლებელია ერთზე მეტი პასუხი)

1. სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა
2. გარე ვაჭრობის რეგულირება
3. მოსახლეობის დაზღვევა
4. პენსიის თანხის განსაზღვრა
5. საავადმყოფოების მშენებლობა
6. შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა

Q5. მოქალაქეთა მონაწილეობის რომელი ფორმებია განსაზღვრული საქართველოს კანონმდებლობით? (შესაძლებელია ერთზე მეტი პასუხი)

1. პეტიცია
2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა
3. მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა
4. საცხოვრებელი კორპუსების ამხანაგობა

5. დასახლების საერთო კრება

6. სტუდენტების მოხალისეობა

7. სტუდენტური თვითმმართველობები უნივერსიტეტებში

8. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

9. საკრებულოს მრგვალი მაგიდა

Q6. როგორ იღებთ ინფორმაციას თქვენი მუნიციპალიტეტის მმართველი ორგანოების(მერია, საკრებულო) საქმიანობის შესახებ? (შესაძლებელია ერთზე მეტი პასუხი)

1. ოჯახი/მეზობლები/მეგობრები

2. ინტერნეტი

3. ტელევიზია

4. რადიო

5. ბეჭდური მედია

6. საინფორმაციო შეხვედრები

7. საინფორმაციო დაფები

8. სხვა - _____

Q7. თვლით თუ არა, რომ საჭიროა მეტი ინფორმაცია გქონდეთ მერიისა და საკრებულოს საქმიანობის შესახებ?

1. დიახ

2. არა

III - მონაწილეობის დონის განსაზღვრა:

Q8. როგორ შეაფასებთ თქვენს ჩართულობას ადგილობრივ თვითმმართველობაში?

1. ძალიან ჩართული ვარ
2. ჩართული ვარ საშუალო დონეზე
3. ნაკლებად ვარ ჩართული
4. საერთოდ არ ვარ ჩართული

Q9. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში?

1. დიახ
2. არა

Q10. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, გსურთ თუ არა მონაწილეობა მიიღოთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში?

1. დიახ
2. არა

Q11. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის პროცესში?

1. დიახ
2. არა

Q12. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, გსურთ თუ არა მონაწილეობა მიიღოთ მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის პროცესში?

1. დიახ

2. არა

Q13. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენის პროცესში?

1. დიახ
2. არა

Q14. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, გსურთ თუ არა მონაწილეობა მიიღოთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენის პროცესში?

1. დიახ
2. არა

Q15. გაქვთ თუ არა სურვილი იყოთ მუნიციპალიტეტის მერთან არსებული სათათბირო ორგანოს, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი?

1. დიახ
2. არა
3. არ ვიცი რას ნიშნავს

Q16. დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა საკითხებს განიხილავდით საბჭოში? დაასახელეთ მაქსიმუმ სამი საკითხი.

1. _____
2. _____
3. _____

Q17. გქონიათ თუ არა პეტიციის მომზადების მცდელობა?

1. დიახ
2. არა
3. არ ვიცი რას ნიშნავს

Q18. დადებითი პასუხის შემთხვევაში, როგორ დასრულდა აღნიშნული მცდელობა?

1. წარვადგინე და დაკმაყოფილდა
2. წარვადგინე და უარი მივიღე
3. ვერ წარვადგინე, რადგან ვერ დავაკმაყოფილე კანონმდებლობის მოთხოვნა პროცენტების შესახებ

Q19. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, რა საკითზე მოამზადებდით პეტიციას? დაასახელეთ მაქსიმუმ სამი საკითხი.

1. _____
2. _____
3. _____

Q20. გქონიათ თუ არა დასახლების საერთო კრების მოწვევის მცდელობა?

1. დიახ
2. არა
3. არ ვიცი რას ნიშნავს

Q21. დადებითი პასუხის შემთხვევაში, როგორ დასრულდა აღნიშნული მცდელობა?

1. ვერ შეგროვდა კრების ინიცირებისათვის საჭირო, შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლების 5%-ის ხელმოწერები.

2. შეგროვდა კრების ინიცირებისათვის საჭირო, შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლების 5%-ის ხელმოწერები, თუმცა კრებას დაესწრო რეგისრირებულ ამომრჩეველთა 20%-ზე მეტი, შესაბამისად, არალეგიტიმური აღმოჩნდა.

3. კრება წარმატებით ჩატარდა

Q22. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, რა საკითხებთან დაკავშირებით მოიწვევდით და ჩაატარებდით დასახლების საერთო კრებას თქვენს დასახლებაში? დაასახელეთ მაქსიმუმ სამი საკითხი.

1. _____

2. _____

3. _____

Q23. წარგიდგენიათ თუ არა პროექტი „სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში? (მხოლოდ გორი)

1. დიახ

2. არა

3. არ ვიცი რას ნიშნავს

Q24. დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა საკითხს ეხებოდა აღნიშნული პროექტი?

_____

Q25. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, რა საკითხებთან დაკავშირებით მოამზადებდით პროექტს „სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში? დაასახელეთ მაქსიმუმ სამი საკითხი.

1. _____

2. _____

3. _____

Q26. კმაყოფილი ხართ თუ არა იმ შესაძლებლობებით, რაც გაქვთ იმისათვის, რათა მონაწილეობა მიიღოთ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მოგვარებაში?

1. კმაყოფილი ვარ
2. არ ვარ კმაყოფილი
3. ნაწილობრივ კმაყოფილი ვარ

Q27. ენდობით თუ არა ადგილობრივ ხელისუფლებას?

1. დიახ
2. არა

Q28. როგორ შეაფასებთ თქვენს ჩართულობას ადგილობრივ თვითმმართველობაში?

1. ძალიან ჩართული ვარ
2. ჩართული ვარ საშუალო დონეზე
3. ნაკლებად ვარ ჩართული
4. საერთოდ არ ვარ ჩართული

დანართი 11 : სატიტულო ფურცლის ინგლისური თარგმანი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Vazha Khetsuriani

Citizen Participation in the Implementation Process of Local Self-Government – Analysis of Municipalities of Shida Kartli: 2016-2019 years

MA program of Public Administration and Public Policy

The Ma Thesis is prepared to obrain Master's degree in Arts of Public Policy and Administration

Supervisor: Nana Macharashvili,

Associate Professor

Tbilisi

2019